ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ადვოკატი: „პროკურატურამ შორენას სადეკანოზო დაკითხა. ყველა მათგანის ჩვენება სიტყვასიტყვით ჰგავდა ერთმანეთს“



გვ.7

12 აპრილიდან

ლიონ ფოიხტვანგერი

გოია

ოქროს ბიბლიოთეკა

ტომი 24-ე

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



პარასკევი, 14 აპრილი, 2017 №88 (7323) ფასი: 50 თეთრი

# თინა ხიდაშელი პოლიტიკიდან წავიდა



გვ.4

ძალიან ნათლად დავინახე, რომ ქვეყანაში მოვლენები ისე ვითარდება, დამოკიდებულებები ამ მოვლენების მიმართ იმდენად არაჯანსაღია, რომ ნამდვილად უნდა გავჩერდე

## ალეკო ელისაშვილი თბილისის მერად კენჭისყრას უპარტიოდ აპირებს

„თბილისი ბიძინა ივანიშვილის შემოღობილი ყანა არ არის!“



„ბესელიას ბოდიშს არ მოვუხდი“



გვ.2

„ქართულმა ოცნებამ“ უნდა შეასრულოს ის, რასაც ხალხს დაჰპირდა“

## სოსო მანჯავიძე: „პრეზიდენტ მარგველაშვილთან დაპირისპირება კონსტიტუციაში არ უნდა აისახოს“



გვ.2

## კონსტანტინე გამსახურდია: „ხელისუფლება ორპარტიულ სისტემას უჭერს მხარს“



გვ.3

„თამბაქოს შესახებ კანონი ვერ იმუშავებს“



გვ.6



გვ.3

## ნაციონალებმა საკონსტიტუციო კომისია დატოვეს

ზვიად ძიძიგური, რომელიც პარლამენტში საარჩევნო ბლოკების წყალობით სამჯერ მოხვდა, ამბობს, რომ საარჩევნო ბლოკების შექმნა უნდა აიკრძალოს

ISSN 1987-9385



გვ.4

## გაერთიანდება თუ არა ოპოზიცია პრეზიდენტის გარშემო

ოთარ კვირიკაშვილი: „ხალხი ან გამოიღვიძებს, ან მათ სამუდამოდ მიაძინებს ბიძინა“

## „ამერიკა-რუსეთის დაპირისპირება, შესაძლოა, კავკასიაში ან უკრაინაში მოხდეს“



გვ.5

## გიორგი ანდრიაძე: „საქმე შეკერილია“



გვ.5

16 და 17 აპრილს თბილისის სასაფლაოების მიმართულებით ავტობუსები უფასოდ იმოძრავებენ



გვ.6

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ალეკო ელისაშვილი თბილისის მერად კენჭისყრას უპარტიოდ აპირებს

## „თბილისი ბიძინა ივანიშვილის შემოღობილი ყანა არ არის!“

ნონა ცაბაძე

თბილისის მერობის მსურველთა რაოდენობა ყოველდღე იზრდება. მმართველი გუნდიდან ვინ იქნება კანდიდატი, ჯერ კიდევ უცნობია. თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი, შესაძლოა, რესპუბლიკელების კანდიდატად ვიხილოთ. „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში **ალეკო ელისაშვილი** არ უარყოფს, რომ ამაზე კონსულტაციები მიმდინარეობს, თუმცა იმასაც აცხადებს, რომ მერის არჩევნებში მას უპარტიოდ მონაწილეობა ურჩევნია.

***— ალეკო, ამბობენ, რომ თქვენ მერობის კანდიდატი იქნებით რესპუბლიკური პარტიიდან. რამდენად შეესაბამება სიმართლეს გავრცელებული ინფორმაცია?***

— არა, არ შეესაბამება სიმართლეს, იმიტომ, რომ მე ჯერ არ გადამიწყვეტია, ვიყარო თუ არა კენჭი და, შესაბამისად, რაც არ გადამიწყვეტია, ის გადაწყვეტილი როგორ იქნება?!

***— შემოთავაზება თუ გქონდათ?***

— შემოთავაზებაც იყო და საუბრებიც ამ თემასთან დაკავშირებით, მაგრამ, თუ გადავწყვეტ, რომ ვიყარო კენჭი მერად, პირველ რიგში, ვფიქრობ იმაზე, რომ ვიყო დამოუკიდებელი კანდიდატი და არცერთი პარტიის წარმომადგენელი არ ვიყო.

***— თავისუფალ დემოკრატებზე რას იტყვით? მათგანაც გქონიათ შემოთავაზება.***

— თავისუფალ დემოკრატებთან, უბრალოდ, საუბარი იყო ამასთან დაკავშირებით. ოფიციალური და საჯარო შემოთავაზება არ ყოფილა. ჩვენ, უბრალოდ, ვისაუბრეთ თვითმმართველობის არჩევნებზე, რა გეგმები გვქონდა, რას ვფიქრობდით. ეს იყო და ეს. რაღაც დიდი და განსაკუთრებული შეხვედრა არ გვქონია. მე ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს ნინო გოგუაძესთან, ყავას ვსვამდით და ამ თემებზე ვსაუბრობდით. იქ იყო ერთ-ერთი ვერსიის მიმოხილვა და მეტი არაფერი.





***— ანუ ოფიციალური შემოთავაზება თავისუფალი დემოკრატებისგან არ ყოფილა?***

— არა, უბრალოდ, ვისაუბრეთ ამ თემებზე. რაც შეეხება რესპუბლიკელებს, მათთან უფრო ინტენსიური ურთიერთობა მაქვს, იმიტომ, რომ საკრებულოში მათი ფრაქცია და მე ვმეგობრობთ და ლოგიკურად იქ უფრო ხშირად ვსაუბრობთ ამ თემებზე. იყო საუბრები, მაგრამ საუბრები რჩება საუბრებად, რადგან მე ნამდვილად არ გადამიწყვეტია. ეს არ არის მარტივი საკითხი.

***— რა არ გადაგიწყვეტიათ, იყოთ მერობის კანდიდატი თუ დათანხმდეთ თუ არა რესპუბლიკელების შემოთავაზებას?***

— არ გადამიწყვეტია მერობის კანდიდატობა, თუმცა, თუ გადავწყვეტ, არ მინდა, პარტიული მერობის კანდიდატი ვიყო. ეს შემიძლია პირდაპირ გითხრათ. პარტიულმა მერებმა რომ ვერ გაამართლეს, ამის შედეგებს ვიმკით ამდენი წლის განმავლობაში. ვერ გაამართლა როგორც უგულავამ, ისევე ნარმანიამ. ისინი იყვნენ პარტიასთან ანგარიშვალდებულები და პარტიის გამო გაეხვივნენ შარში. ერთმა უკვე აგო პასუხი და მეორეს მოუწევს პასუხისგება.

***— რა შანსები შეიძლება ჰქონდეს დამოუკიდებელ კანდიდატს, როდესაც არჩევნებს „ოცნება“ ატარებს? ასე მარტივად დათმობენ თბილისს?***

— თბილისი არ არის ხელწამოსაკრავი ქალაქი და ვინმეს შემოღობილი ყანა. მათ შორის, არც ბიძინა ივანიშვილის ყანა არ არის! როგორც ბიძინა ივანიშვილს უნდა და წარმოუდგენია, ისე არ იქნება ყველაფერი! განსაკუთრებით კი ასე არ იქნება თბილისში! შესაბამისად, რაოდენ კმაყოფილნიც არ უნდა იყვნენ „ქართულ ოცნებაში“, მე ვფიქრობ, სერიოზული ბრძოლა იქნება თბილისში. დანარჩენი ვნახოთ.

***— ნარმანია არ მალავს სურვილს, რომ მეორედაც იყაროს კენჭი. როგორ ფიქრობთ, ისევ ის იქნება „ოცნების“ კანდიდატი?***

### „ბესელიას ბოდიშს არ მოვუხდი“

— ხან კალაძეს ამბობენ, ხან ნარმანიას, ხან ვის და ხან ვის. დროზე თუ ჩამოყალიბდებიან, უკეთესი იქნება მათთვისაც და ქალაქისთვისაც. ნარმანია რომ მერი არ უნდა იყოს, მეგონა, რომ ამას თვითონაც ხვდებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სრულიად არაადეკვატური ყოფილა. გამაოგნებლად არაადეკვატურია! არათუ იმას ვერ ხვდება, რომ ცუდი მერია, პირიქით, თავი ძალიან კარგი მერი ჰგონია. ამას არ ველოდი, მეგონა, ცოტას დაიმორცხვებდა მაინც და მიხვდებოდა, რომ ვერაფერს თავი ვერ გაართვა. თუმცა ის არაადეკვატურია!

***— ნარმანიას საკრებულოში ანგარიშით გამოსვლისას ბევრს ჰქონდა მოლოდინი, რომ თქვენ მწვავედ დაუპირისპირდებოდით, თუმცა ასე არ მოხდა. თქვენ შემაჯამებელი სიტყვა არჩიეთ. რატომ?***

— რეგლამენტი რის საშუალებასაც გვაძლევდა, ისეთი გამოსვლა მქონდა. სამი წუთი მქონდა კითხვების დასმისთვის, როგორც დამოუკიდებელ დეპუტატს და შემდეგ სამი წუთი – შემაჯამებელი სიტყვისთვის. მე შემაჯამებელი სიტყვა მქონდა და ვუთხარი კიდეც ნარმანიას, რომ მისი მმართველობა იყო ხელიდან გაშვებული სამი წელი. უბრალოდ, აივანზე მობილიზებულმა ნაციონალებმა და მელორ ვაჩნაძის გადაძახილებმა გადაიფარა ეს ყველაფერი, თორემ, მე რის თქმასაც ვაპირებდი, ის ვუთხარი კიდეც ნარმანიას. ცხადია, ნარმანია ადეკვატურად ვერ აფასებს თავის მოღვაწეობას.

***— რატომ?***

— რომ აფასებდეს, ის თავის კანდიდატურაზე არ ილაპარაკებდა. იმის მაგივრად, რომ, პირიქით, ბოდიში მოეხადა მთელი ქალაქისთვის, რომ ვერაფერს თავი ვერ გაართვა, გამოვიდა და რატომაც არა, სიამოვნებით ვიქნები კიდევ თბილისის მერიო.

***— თქვენ და ეკა ბესელიას შორის არსებულ დავაზე რას იტყვით? სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციოში გაასაჩივრეთ. რისი იმედი გაქვთ, შეიცვლება გადაწყვეტილება?***

— არა მაქვს არანაირი იმედი, რადგან ჩვენ ყველანი ვხედავთ, როგორ გადაულოცა ხელისუფლებამ ლევან მურუსიძეს სასამართლო! რა შედეგებიც არის ამ სასამართლოში, კი ვხედავთ ყოველ ჯერზე. ეს მხოლოდ ჩემი და ბესელიას საქმეზე არ ხდება. ლევან მურუსიძეს ჩააბარეს სასამართლო, კაცს, რომელსაც მიჰყავდა სანდრო გირგვლიანის სასამართლო პროცესი. როგორ წაიყვანა ეს პროცესი და რა გადაწყვეტილებები მიიღო, კარგად გვახსოვს. ეს კაცი აიღეს და დასვეს სასამართლოს რეალურ გამგებლად. შესაბამისად, არა მაქვს არანაირი იმედი, მაგრამ მე, როგორც კანონის პატივისმცემელი კაცი, მივყვები ამას და სააპელაციოშიც გავასაჩივრებ და უზენაესშიც. ამას გავყვები ბოლომდე.

***— ანუ ბესელიასთვის ბოდიშის მოხდას არ აპირებთ?***

— გამორიცხულია! არავითარ შემთხვევაში!

# სოსო მანჯავიძე: „პრეზიდენტ მარგველაშვილთან დაპირისპირება კონსტიტუციაში არ უნდა აისახოს“

## „ქართულმა ოცნებამ“ უნდა შეასრულოს ის, რასაც ხალხს დაჰპირდა“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელ დეპუტატ **სოსო მანჯავიძეს** ესაუბრა.

***— თქვენ იყავით იმ საინიციატივო ჯგუფის ლიდერი, რომელმაც მოსახლეობაში შეაგროვა ხელმოწერები ქორწინების განმარტების თაობაზე. დღეს, როცა ეს საკონსტიტუციო საკითხი დღის წესრიგში დადგა, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ვენეციის კომისია კონსტიტუციაში ამ ჩანაწერის შეტანას არ იწონებს.***

— პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი რამდენიმე თვის წინ, არჩევნებამდე დაგვპირდა, რომ თუ მომავალ პარლამენტში მმართველ პარტიას საკონსტიტუციო უმრავლესობა ექნებოდა, ხალხის ნება კონსტიტუციაში აისახებოდა. ასეთი უმრავლესობა არსებობს. საზოგადოებამ ჩათვალა, რომ ქორწინება ქალისა და კაცის ერთობაა და ეს უნდა ჩაიწეროს კონსტიტუციაში. ხალხის ნების აღსრულება ხელისუფლების ვალდებულებაა. შეიძლება, ეს არ მოსწონდეს ვენეციის კომისიას, მაგრამ ეს არის საზოგადოების მოთხოვნა. „ქართულმა ოცნებამ“ არჩევანი უნდა გააკეთოს.

***— არჩევნებამდე პარტია თავისუფალი დემოკრატები, რომელსაც ირაკლი ალასანია ხელმძღვანელობდა, ამ საკითხში ხალხის პოზიციას იზიარებდა. ახლა იმავე პარტიის ლიდერი შალვა შავგულიძე საპირისპიროს ამბობს. იგი აცხადებს, რომ „ქართული ოცნება“, რომელსაც ამ დეფინიციის ჩაწერა უნდა კონსტიტუციაში, თავისი არასწორი წინასაარჩევნო კამპანიის ტყვეობაში მოექცა.***

— თავისუფალი დემოკრატების მაშინდელი მხარდაჭერა მეც მახსოვს. იგივე შალვა შავგულიძე იმ დროს სხვა განცხადებებს აკეთებდა. ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში ამგვარი რამ არ უნდა გაგვიკვირდეს. ჩვენ ხომ პარტიებიც არ გვყავს!

***— კლასიკური პარტიები შეიძლება არ იყვნენ, მაგრამ პარტია ბევრია.***

— ეს პოლიტიკური ჯგუფებია, რომლებიც თავს პარტიებს უწოდებენ. შეიძლება, ეს იყოს 4 ან 5-კაციანი ორგანიზაციები. მათგან უპრინციპობა და აზრების ცვლა გასაოცარი არ უნდა იყოს. ქართულ პოლიტიკაში ისეც ხდება, როცა ერის ინტერესების დამცველობასა და რწმენის დარაჯობას იბრალებს ერთი პირი და ის ლანძღავს სხვებს. ასეთ ხალხს უხსნიან პირდაპირ ეთერს. ეს ხდება გარკვეული ორგანოების დავალებით.

***— იქნებ, დააკონკრეტოთ?***

— დაკონკრეტებას მოვერიდები. სახელებისა და გვარების ხსენება საჭირო არ არის იმ დროს, როცა ყველგან ისედაც ლანძღვა-გინების კორიანტელია.

***— პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც აზრს რადიკალურად იცვლიან ქორწინების საკითხზე, გარკვეულ ზემოქმედებას ხომ არ განიცდიან?***

— არა. მათზე ზეწოლა არ მიმდინარეობს. თუ ამაზე რაიმე საუბარია, ისინი ამას თვითონ იგონებენ. მსოფლიოში დიდი ცვლილებებია. ჩვენ ვდგავართ კონსერვატიული რევოლუციის წინაშე. ამჟამად ასეთ საკითხებზე ზეწოლა აღარ ხდება. ეტყობა, ადგილობრივ გარკვეულ ჯგუფებს უნდათ, საქართველო მარგინალური ლიბერალიზმის კუნძულად გადააქციონ.

***— ამ თემის მიმართ საზოგადოება მგრძნობიარეა.***

— ცხადია. ამიტომ ამ თემაზე ისტერიკები კონტრპროდუქტიულია. ეს არ არის ქვეყნის უმთავრესი პრობლემა. ეს ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. ამ საკითხებზე ავადმყოფური დისკურსი დაუშვებელია. სწორედ ამიტომ ვიაქტიურე ხელმოწერების შეგროვებისას. მინდოდა, ქორწინების განმარტების კონსტიტუციაში შეტანით მოგვეხსნა ის არაჯანსაღი ატმოსფერო, რომელიც ამ თემების ისტერიულად განხილვას ახლავს.

ეს სულიერად ამახინჯებს საზოგადოებას, განსაკუთრებით – ახალგაზრდა თაობას. ახლა „ქართული ოცნების“ გადასაწყვეტია, საზოგადოების ნებას შეასრულებს თუ – ვენეციის კომისიის რეკომენდაციას. თუ ეს არ მოეწონება ვენეციის კომისიას, ვიქნებით ვენეციის კომისიისგან არმოწონებულები. მონობა ცუდია. მონები ქვეყანას ვერ ააშენებენ.

***— აღნიშნეთ, რომ საქართველოში პარტიების ნაცვლად პოლიტიკური ჯგუფებია. ამავდროულად, გადავდივართ მართვის საპარლამენტო მოდელსა და პროპორციულ არჩევნებზე.***

— გეთანხმებით, რომ პარტიების არარსებობისას საპარლამენტო მოდელი და პროპორციული არჩევნები წარმოუდგენელია. ეს ენდემური გამოგონებაა და არანაირად არ შეესაბამება ჩვენს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და გეოპოლიტიკურ რეალობას. პარტიები არ არსებობს, ორიენტირება ისევ ცალკეულ პიროვნებებზე ხდება. კონსტიტუციაში შესატანი ბევრი ცვლილება გაუგებარია.

***— ქვეყნის მმართველობასთან და არჩევნებთან დაკავშირებული მოსალოდნელი ცვლილებები გაქვთ მხედველობაში?***

— დიახ. პრეზიდენტ მარგველაშვილის იდეოლოგიას არ ვიზიარებ. მისი თანამოაზრე არა ვარ, მაგრამ არ მიმაჩნია სწორად, როცა მას კანონმდებლობით ებრძვიან. პრეზიდენტ მარგველაშვილთან დაპირისპირება არ უნდა აისახოს კონსტიტუციაში. კონსტიტუციური მოწყობა უმნიშვნელოვანესი საკითხია და პოლიტიკურ კინკლაობას არ უნდა დაუკავშირდეს. დარწმუნებული ვარ, საქართველოსნაირ ქვეყანას ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობა სჭირდება.



პრეზიდენტი პასუხს უნდა აგებდეს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. ძალაუფლება და პასუხისმგებლობა ერთმანეთთან შესაბამისობაში უნდა იყოს ყველა დონეზე.

ახლა არაეფექტური სიურეალისტური მოდელი გვაქვს. ეს საკონსტიტუციო ცვლილებებიც აბსოლუტურად მოწყვეტილია რეალობას, რაც მომავალში ქვეყანას დიდ პრობლემებს შეუქმნის.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# კონსტანტინე გამსახურდია: „ხელისუფლება ორპარტიულ სისტემას უჭერს მხარს“

ნათია ხურცილავა

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი **კონსტანტინე გამსახურდია** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ შემოთავაზებული საკონსტიტუციო ცვლილებები მიუღებელია.

***– ბატონო კონსტანტინე, კონსტიტუციის ახალი რედაქციის სამუშაო ვარიანტის მიხედვით, მაჟორიტარული არჩევნები უქმდება და პროპორციული არჩევნები შემოდის, თუმცა პარტიებს ეკრძალებათ საარჩევნო ბლოკების შექმნა, ასევე 5%-იანი ბარიერი რჩება. მისაღები ცვლილებებია?***

– თუ ეს ნორმები კონსტიტუციაში იქნება ასახული, ეს ჩემ მიერ უაღრესად ნეგატიურად იქნება აღქმული და შეფასებულიც. მართალია, მაჟორიტარული არჩევნები უქმდება, მაგრამ გადაუნაწილებელი მანდატები მიაქვს პირველ ადგილზე გასულ პარტიას. ეს ნიშნავს, რომ დაუმსახურებელი ბონუსი მიიღო პირველ ადგილზე გასულმა პარტიამ და სხვების ხმები მიისაკუთრა.

***– თუმცა პარლამენტის თავმჯდომარე პოლიტიკურ სტაბილურობაზე აკეთებს აქცენტს და ამ ხმებს მცირე ბონუსს უწოდებს.***

– ასე ნამდვილად არ არის. როგორ შეიძლება, გადაუნაწილებელი ხმები იყოს მცირე ბონუსი, როდესაც ჩვენ არ ვიცით, რამდენი პროცენტი შეიძლება იყოს ეს ხმები, თანაც აქცენტის დასმა რაღაც გაურკვეველ პოლიტიკურ სტაბილურობაზე სრულიად გაუგებარია.

ეს ყველაფერი ემსახურება იმას, რომ „ქართული ოცნების“ ძალაუფლება ჩაცემენტდეს შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში, შეიძლება – კიდევ ოთხი წლით და კიდევ მეტითაც. ადამიანებს, რომლებიც მხარს უჭერენ ამ პროექტს და ცდილობენ მის გატანას, არ აქვთ სხვა მიზანი, გარდა ერთისა – დარჩნენ ხელისუფლებაში რაც შეიძლება დიდხანს.

***– ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ არცერთი ხელისუფლება არ შეხებია საარჩევნო სისტემას, ისინი კი ცვლიან. შემოთავაზებული ცვლილებები არ არის საკმარისი?***

– როგორ შეიძლება, იყოს საკმარისი, როდესაც იგივე ხდება და საქმე გვაქვს კვლავ უსამართლობასთან. რა მნიშვნელობა აქვს, ხმებს მაჟორიტარული გზით წაიღებ თუ პროპორციულით, თუ ის ხმები შენ არ გეკუთვნის.

ეს არის მოჩვენებითობა. თითქოს მაჟორიტარულიდან პროპორციულზე გადადიან, მაგრამ ბარიერს არ ამცირებენ. ეს ნიშნავს იმას, რომ ძალიან მცირე შესაძლებლობა რჩება დანარჩენი პარტიებისთვის, მათ ბარიერი გადალახონ. რეალურად, დღეს ხელისუფლება ორპარტიულ სისტემას უჭერს მხარს. გვაქვს კიდეც ორპარტიული სისტემა. მათ სხვა პარტია არც სჭირდებათ.

ხელისუფლებას სჭირდება მხოლოდ ერთი ოპოზიციური პარტია, რომელსაც აჩვენებს დასავლეთს, რომ ჩვენ გვაქვს დემოკრატიული სისტემა, გვყავს ოპოზიცია. ოპოზიცია კი არის ისეთი, როგორიც თვითონ აწყობთ.



***– ნაციონალურ მოძრაობაზე საუბრობთ?***

– დიახ, ნაციონალურ მოძრაობაზე, რომელიც დღეს ყველაზე მეტად აწყობს ხელისუფლებას, რომ ოპოზიციაში ჰყავდეს.

***– საარჩევნო ბლოკებზე მინდა გკითხოთ. ოპოზიციას გაუჭირდება საარჩევნო ბლოკების გარეშე ბარიერის გადალახვა?***

– თუნდაც ბოლო საპარლამენტო არჩევნებზე პატრიოტთა ალიანსმა სწორედ ბლოკის სახით გადალახა ბარიერი და ამ გზით შევიდა პარლამენტში. ამ გადაწყვეტილებაში პირდაპირ იკითხება, რომ დღეს ხელისუფლებას არ აწყობს არც მესამე და არც მეოთხე ძალა.

***– ხელისუფლების არგუმენტია, რომ თითოკაციანი პარტიები, რომლებიც სწორედ ასეთი ბლოკების მეშვეობით სახელმწიფოსგან დაფინანსებას იღებენ, ამ აკრძალვის შემდეგ ვეღარ იარსებებენ და იქნება რეალური პარტიები და რეალური ძალთა ჭიდილი არჩევნებზე. არ არის მისაღები არგუმენტი?***

– რეალურ პარტიას ისინი მხოლოდ ორ პარტიას უწოდებენ, ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“. აშკარაა, რომ მათ ორპარტიული სისტემა სურთ.

***– როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში?***

– არა, რა თქმა უნდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ორპარტიული სისტემა რეალურად მოქმედი სისტემაა, ჩვენთან კი ეს იქნება სამარცხვინო ფარსი და სხვა არაფერი. ამერიკაში ამ სისტემას დიდი ტრადიციები აქვს, ჩვენთან კი იქნება მხოლოდ იმისთვის, რომ სხვა არავინ გაჭაჭანდეს.

ეს არის თავსმოხვეული ორპარტიული სისტემა და მას ბუნებრივობასთან არაფერი აქვს საერთო, თანაც საპარლამენტო რესპუბლიკა პარტიების გარეშე, უბრალოდ, წარმოუდგენელი მგონია. მე ნაციონალური მოძრაობის ადგილას უარს ვიტყოდი ამ სამარცხვინო როლზე და დავტოვებდი მათ მარტო. თუ ეს ცვლილებები საკონსტიტუციო ნორმებად იქცა, მაშინ ოპოზიციამ საერთოდ უარი უნდა თქვას არჩევნებში მონაწილეობაზე.

# ნაციონალებმა საკონსტიტუციო კომისია დატოვეს

შორენა მარსაგიშვილი

## ზვიად ძიძიგური, რომელიც პარლამენტში საარჩევნო ბლოკების წყალობით სამჯერ მოხვდა, ამბობს, რომ საარჩევნო ბლოკების შექმნა უნდა აიკრძალოს

პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძის წინასწარმეტყველება ახდა – ოპოზიციამ საკონსტიტუციო კომისიის დატოვების შესახებ განცხადება გააკეთა. არასაპარლამენტო ოპოზიცია თავის გადაწყვეტილებას უახლოეს მომავალში გამოაცხადებს. ნაციონალურმა მოძრაობამ კი კომისია გუშინ, 13 აპრილს, უარყო.

საკონსტიტუციო კომისიის დატოვების შესახებ ოფიციალური განცხადება საპარლამენტო ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე რომან გოცირიძემ გააკეთა.

საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე მან საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში არსებულ ხარვეზებზე ისაუბრა.

მისი თქმით, ხელისუფლებას სინამდვილეში სულ სხვა მიზნები ამოძრავებდა.

– სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ხელისუფლებას ამოძრავებდა სხვა მიზნები, რომლებიც გამოიხატებოდა ძალაუფლების უზურპაციაში და ეს კომისია სწორედ გამოყენებული იყო ამ მიზნების მისაღწევად. დღეს უკვე ნათელია, რომ საკონსტიტუციო კომისიის შედეგად მიღებული დოკუმენტი, ფაქტობრივად, ადამიანებს უზღუდავს თავისუფალი არჩევანის უფლებას.

საქართველოს პრეზიდენტი არ ირჩევა პირდაპირი წესით, იზღუდება მრავალი მისი ფუნქცია, რომელიც დემოკრატიის გარანტი იყოს ქვეყანაში. საარჩევნო წესები იცვლება ისე, რომ ხელისუფლებამ შეინარჩუნოს ძალაუფლება და მოირგოს კონსტიტუცია საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ამ დოკუმენტში, ქუთაისი, როგორც საპარლამენტო დედაქალაქი, არის გაუქმებული, – განაცხადა რომან გოცირიძემ.



საკონსტიტუციო კომისიის დატოვებაზე ფიქრობს ნაციონალებისგან გამოყოფილი „ევროპული საქართველოც“.

პარტიის ერთ-ერთ ლიდერ დეპუტატ ზურაბ ჭიაბერაშვილის თქმით, ხელისუფლებას ისეთი ცვლილებები შეაქვს, რომ მთელი ძალაუფლება ერთი გუნდის ხელში გადავა.

– ჩვენი პოზიცია ასეთია – კომისიის შიგნით მაქსიმალურად ვეცადოთ, ყველა მუხლთან დაკავშირებით არა მხოლოდ დავაფიქსიროთ პოზიცია, არამედ კომისიის წევრთა უმრავლესობამ მხარი დაუჭიროს იმ თვალსაზრისს, რომელსაც „ევროპული საქართველო“ აყენებს ამა თუ იმ მუხლთან დაკავშირებით, მაგრამ, თუ დავინახეთ, რომ კომისიაში უმრავლესობის აზრსაც „ქართული ოცნება“ არაფრად აგდებს და უბრალოდ ამბობს, არა, ჩვენ ასე უნდა გადავწყვიტოთ, ბუნებრივია, დადგება ბოიკოტის საკითხი, – ასეთია ჭიაბერაშვილის პოზიცია.

ნაციონალებამდე კომისიის დატოვების შესახებ არასაპარლამენტო ოპოზიცია ალაპარაკდა. 15-მა ოპოზიციურმა პარტიამ კომისიის დატოვებასთან დაკავშირებით კონსულტაციები გამართა.

დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ გიორგი ახვლედიანის თქმით, კომისიას ისინი მომავალ კვირას დატოვებენ.

– არასაპარლამენტო ოპოზიცია საკონსტიტუციო კომისიას დატოვებს. ხელისუფლების პოზიციის საწინააღმდეგოდ ერთიანი ბოიკოტი მომავალ კვირას გამოცხადდება და ხელისუფლება საკონსტიტუციო კომისიაში მარტო დარჩება, – აღნიშნა გიორგი ახვლედიანმა.



ახალი მემარჯვენეების ერთ-ერთი ლიდერი მამუკა კაციტაძე ამბობს, რომ ოპოზიცია ბოიკოტის საკითხზე ერთ პოზიციაზე დგას.

მისივე თქმით, ოპოზიცია იმაშიც თანხმდება, რომ ახალი კონსტიტუცია საქართველოსი უნდა იყოს და არა – რომელიმე პარტიის.

– ნულოვანი კონსენსუსი დაუპირისპირდება ჩვენი მხრიდან, სრული კონსენსუსი საკონსტიტუციო მუშაობის პროტესტთან დაკავშირებით, ეს იქნება ფასი, „ქართული ოცნების“ მხრიდან გადასახდელი, რომელიც დაედება მათ ქმედებას საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით. ჩვენ გავაგრძელებთ პოლიტიკურ ბრძოლას იმისთვის, რომ კონსტიტუცია იყოს საქართველოსი და არა – „ქართული ოცნების“ და, მით უმეტეს, კობახიძის, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში კაციტაძემ.

* * *

ოპოზიციის გადაწყვეტილებით მმართველი გუნდი უკმაყოფილო დარჩა.

საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერ მამუკა მდინარაძის აზრით, ოპოზიცია არასწორად იქცევა, როცა „ქართულ ოცნებას“ ულტიმატუმის ენით ელაპარაკება.

– ვფიქრობ, საკონსტიტუციო კომისიასთან და მმართველ გუნდთან ამ შემთხვევაში ულტიმატუმებით საუბარი არ არის სწორი, რადგან ყველა კარგად ხედავს, რომ კომისიაში მიდის საგნობრივი მსჯელობა ყველა დეტალთან დაკავშირებით, – ამბობს მდინარაძე.

მისი მტკიცებით, ყველა საკითხზე სიღრმისეული და საგნობრივი მსჯელობა მიმდინარეობს. ამ ეტაპზე მისთვისაც არ არის ცნობილი, თუ რა ცვლილებები შევა ქვეყნის მთავარ კანონში.

– გადაწყვეტილებას კომისია იღებს, პრაქტიკულად, ხმათა უმრავლესობით ყოველ ჯერზე. საბოლოო კენჭისყრა კომისიას ჯერ არ ჩაუტარებია, აქედან გამომდინარე, წინასწარ ნამდვილად ვერ გაგცემთ პასუხს, რომელ ნაწილში შევა ცვლილებები, რომელ ნორმაში, მაგრამ საბოლოოდ ჩვენ მაისამდე მივიღებთ პროექტის საბოლოო ვარიანტს, რომელსაც გავიტანთ საყოველთაო სახალხო განხილვაზე, – აღნიშნა მდინარაძემ.

ოპოზიციას გადაწყვეტილება პარლამენტის ვიცესპიკერმა ზვიად ძიძიგურმაც დაუწუნა. მისი თქმით, ბოიკოტის არავის ეშინია. არადა, ოპოზიციაში ყოფნის დროს ძიძიგური თავადაც ხშირად მიმართავდა ბოიკოტს.

ხელისუფლებაში ყოფნა, ეტყობა, ბოიკოტისადმი დამოკიდებულებას ცვლის და ვიცესპიკერი ამბობს, რომ ოპოზიცია ამით ვერაფერს მოიგებს. მისი თქმით, რაც უნდა მოხდეს, კონსტიტუცია მაინც შეიცვლება.

– როდესაც პროცესს ბოიკოტს უცხადებ, შენ თვითონ რჩები პროცესების მიღმა. ეს არის ძალიან მწარე რეალობა, რომელშიც ბოიკოტისტი პარტიები აღმოჩნდებიან ხოლმე. ბოიკოტის არავის ეშინია. კონსტიტუცია იცვლება კარდინალურად და იცვლება უკეთესობისკენ. ეს იციან ჩვენმა ოპოზიციონერმა კოლეგებმა, ექსპერტებმა, აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა.

საკითხების ულტიმატუმის ფორმით დაყენება მთლად ჭკვიანური საქციელი არ არის, რადგან ულტიმატუმის ენით ლაპარაკი არც საკონსტიტუციო კომისიაში და არც პოლიტიკურ პროცესებში ეფექტური არ გახლავთ, – აღნიშნა ძიძიგურმა.

„ინტერპრესნიუსის“ კითხვაზე, ოპოზიციაში ყოფნის შემთხვევაში, პირადად მისთვის და კონსერვატიული პარტიისთვის რამდენად მისაღები იქნებოდა საარჩევნო სისტემის მიმართულებით შეთავაზებული ცვლილებები, რითაც მმართველი პარტია გამოდის, ძიძიგურმა უპასუხა, რომ მას ეს ოპოზიციაშიც ძალიან მოეწონებოდა.

– მუდმივად, რაც მახსოვს და ოპოზიციაშიც საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ვიყავი, ძველ პერიოდში და ახლაც ყველა ოპოზიციური პარტია პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას ითხოვდა. პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა ხორციელდება. ახლა ის, რომ პროპორციულ სისტემაზე გადასვლისთვის რაღაც ტიპის საკითხები ოპოზიციას მოსწონს ან არ მოსწონს, არის მეორე რიგის. სისტემური ცვლილება, რაზეც მუდმივად იყო მოთხოვნა, ხორციელდება, – განაცხადა ძიძიგურმა.



პარლამენტის ვიცესპიკერი კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებებით სიღრმისეულად არის აღფრთოვანებული. ადამიანი, რომელიც პარლამენტში საარჩევნო ბლოკების წყალობით სამჯერ მოხვდა, ამბობს, რომ საარჩევნო ბლოკების შექმნა უნდა აიკრძალოს.

მისი თქმით, ეს აკრძალვა პირდაპირ კონსტიტუციაში უნდა იყოს ჩაწერილი. ეს პარტიების გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# გაერთიანდება თუ არა ოპოზიცია პრეზიდენტის გარშემო

## ოთარ კვირიკაშვილი: „ხალხი ან გამოიღვიძებს, ან მათ სამუდამოდ მიაძინებს ბიძინა“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ ცდილობს ხელისუფლება თვითმმართველი ქალაქების გაუქმებას, უნდა მოხდეს თუ არა ოპოზიციის გაერთიანება ვინმეს გარშემო, რატომ დაადგა თვალი „ოცნებამ“ გადაუნაწილებელ მანდატებს? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ თავისუფალი დემოკრატების წევრი **ოთარ კვირიკაშვილი** ესაუბრება.

***– პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე რამდენიმე თვითმმართველი ქალაქის გაუქმებას უჭერს მხარს. ამის არგუმენტად ის ბალტიისპირელების გამოცდილებას ასახელებს, სადაც, როგორც თავად ამბობს, მას 2014 წელს უთხრეს, რომ მათ სისულელე გააკეთეს, როცა ქალაქები და მუნიციპალიტეტები ერთმანეთისგან გაყვეს.***

– არ ვიცი, ვინ სად და რა უთხრა ირაკლი კობახიძეს. მთელი ხელისუფლება იმაზეა გადასული, როგორმე გაამართლონ ის, რის გაკეთებასაც აპირებენ. თვითმმართველობაში რეფორმების გატარება 2006 წლიდან დაიწყო. ესენი ამის უკან მიდიან და შევარდნაძის პერიოდში გვაბრუნებენ.

თვითმმართველი ქალაქების გაუქმებას კონკრეტული მიზეზები აქვს – 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდება და ხელისუფლებას ადგილებზე ფეოდალები აღარ ეყოლება მაჟორიტარების სახით. ამიტომ აღარ აწყობთ, რომ მერიც მართავდეს, გამგებელიც, იქით რაიონის საკრებულო იყოს, აქეთ – ქალაქის. უნდათ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ისევ ერთი ადამიანის ხელში მოაქციონ და სწორედ ამიტომ მოიფიქრეს თვითმმართველი ქალაქების გაუქმება.

***– რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი „ოცნებისთვის“ თვითმმართველობების ერთ ხელში მოქცევა?***

– არ უნდათ, რამდენიმე ადამიანთან ჰქონდეთ საქმე, დავალებას ერთ კაცს მისცემენ. ამის გარდა, რამდენიმე მუნიციპალიტეტის გამგებელმა და საკრებულოს თავმჯდომარემ რაღაც საკითხში ურჩობა გამოიჩინეს. ეს „ოცნებისთვის“ საშიშია და თვითმმართველობების შეზღუდვით უნდათ, ურჩობის ფაქტებიც გამორიცხონ.

***– ხელისუფლების ერთ-ერთი არგუმენტია, რომ ამ ცვლილებებით ხარჯებიც შემცირდება. ამაზე რას იტყვით?***

– ეს თვითმმართველობების მიმართ ძალიან არასერიოზული მიდგომაა. ხარჯების შემცირება თუ უნდათ, გუბერნიები გააუქმონ. სამხარეო ადმინისტრაციების წესდებას სპეციალურად გადავხედე და ვნახე, რომ რაც გუბერნატორის ფუნქციებში წერია, იგივე ფუნქციები აქვთ გამგეობებსა და საკრებულოებს.

გუბერნიები მართლა ხორცმეტია და მათ შენახვაზე ათეულობით მილიონი ლარი იხარჯება. 11-12 მილიონი მარტო ხელფასებში მიდის. აღარაფერს ვამბობ საწვავისა და მივლინებების ხარჯებზე. მილიონები ჰაერში იყრება.

ამათი მიზანი, როგორც უკვე გითხარით, თვითმმართველობების ერთი კაცის ხელში მოქცევაა. ირაკლი კობახიძე რუპორის როლში გამოდის და ამბობს იმას, რასაც ბიძინა ავალებს.

***– მათ ინიციატივას ოპოზიცია და არასამთავრობო სექტორი უარყოფითად შეხვდა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰყავთ, ამ ცვლილებების მიღება არ უნდა გაუჭირდეთ.***

– ამ შემთხვევაში ხელისუფლება თავისას გაიტანს, პარლამენტში მორჩილი უმრავლესობაა. მაჟორიტარობის კანდიდატები თავის დროზე სწორედ მორჩილების ნიშნით აირჩიეს და ათასგვარ ფილტრში ჰყავთ გატარებული. ხელისუფლების შეჩერება მხოლოდ საზოგადოების პროტესტს შეუძლია.

***– იქნება საზოგადოების მხრიდან პროტესტი?***

– საზოგადოება თავის პრობლემებშია ჩაფლული. ხალხს არ აქვს რეალური ინფორმაცია და ვერ აცნობიერებს, რის გაკეთებას აპირებს ხელისუფლება სინამდვილეში.



ხალხს ამაზე უფრო მნიშვნელოვან თემებზე არ ჰქონია პროტესტი და, ვფიქრობ, არც ამას გააპროტესტებენ. უახლოესი 2-3 წელი საზოგადოება ასე ნიჰილისტურად იქნება განწყობილი. მერე ან სამუდამოდ მიაძინებს ბიძინა, ან გამოიღვიძებენ. მჯერა, ხალხი გამოიღვიძებს და ყველაფერს სათანადო შეფასებებს მისცემს.

***– საინტერესოა, რას ფიქრობენ იმ ქალაქების წარმომადგენლები, რომლებსაც თვითმმართველი ქალაქის სტატუსის წართმევას უპირებენ. თქვენ თელავთან და გორთან გაქვთ შეხება და რას ფიქრობენ იქაურები?***

– თელავში რამდენიმე ჩემი მეგობარი აქტიურად იბრძოდა იმისთვის, რომ თვითმმართველი ქალაქის სტატუსი მოეპოვებინათ. ხელისუფლების ინიციატივით შოკში არიან.



იგივე ვითარებაა გორშიც. 13 აპრილს გორში ადგილობრივმა არასამთავრობოებმა შეხვედრები გამართეს ახალგაზრდებთან ამ საკითხზე, უნდათ, რომ რაღაც პრევენციული ზომები მიიღონ.

ხალხის პროტესტს ყოველთვის აქვს აზრი, მაგრამ ამ ეტაპზე ხელისუფლება მას ანგარიშს არ გაუწევს. ამ საკითხზე ოპოზიციასთან დაიწყებენ ვაჭრობას. ისეთივე ვაჭრობას დაიწყებენ, როგორც გადაუნაწილებელ მანდატებზე ვაჭრობენ.

***– ამ გადაუნაწილებელ მანდატებზეც საინტერესო რამე თქვა პარლამენტის თავმჯდომარემ. მისი თქმით, თუ გადაუნაწილებელ მანდატებს გამარჯვებული ძალა მიიღებს, ეს ქვეყნის სტაბილურობის გარანტია იქნება.***

– ყოველი არჩევნების შემდეგ, როგორც წესი, რამდენიმე მანდატი რჩება გადაუნაწილებელი. წესით, ეს მანდატები ყველა პარტიაზე უნდა გადანაწილდეს. ახლა ამ მანდატებს პარლამენტში მოხვედრილი ყველა პარტია ინაწილებს. აქაც უპირატესობა ხელისუფლებას აქვს.

მომზადებული ცვლილებების თანახმად კი გადაუნაწილებელ მანდატებს სრულად აითვისებს გამარჯვებული პარტია. „ქართული ოცნება“ კარგად ხვდება, რომ პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში დიდ წარმატებას ვეღარ მოიპოვებს. ასეთ შემთხვევაში 4 და 5 მანდატსაც კი დიდი მნიშვნელობა ექნება. ამიტომაც წინასწარ დაიჭირეს თადარიგი და გადაუნაწილებელი მანდატების მიღებას აკანონებენ. ასეთი პრეცედენტი არ არსებობს, მაგრამ ესენი ამაშიც გამორჩეულები არიან – 2020 წელს დაგეგმილი არჩევნებისთვის ახლავე ემზადებიან.

მოვლენები ისე ვითარდება, არჩევნები, შესაძლოა, 2 წელიწადშიც ჩატარდეს. ალბათ, ამიტომაც ჩქარობენ, რომ საკუთარ თავზე მოირგონ კონსტიტუცია.

***– გამოუვათ კონსტიტუციის საკუთარ თავზე მორგება?***

– არ გაუჭირდებათ. თავის დროზე სააკაშვილმაც საკუთარ თავზე მოირგო კონსტიტუცია, რაც შემდეგ ცუდად შემოუტრიალდა. „ოცნებასაც“ ასე მოუვა. ამერიკას რომ გაიძახიან სულ, ამერიკის კონსტიტუცია 1787 წელს დაიწერა. დღემდე იქ სულ 2 ჩასწორება შევიდა, ჩვენთან კი შევარდნაძის დროიდან დღემდე უკვე 33-ჯერ იცვლება კონსტიტუცია.

დღეს „ქართული ოცნება“ იმ ვითარებაშია, როგორშიც სააკაშვილი იყო 2007 წლის შემდეგ – გადასული არიან ძალაუფლების შენარჩუნებაზე. 1-2 წელი შეძლებენ ხელისუფლების შენარჩუნებას, მერე კი რაღაც აუცილებლად შეიცვლება.

***– პარლამენტში გამოსვლისას პრეზიდენტმა მარგველაშვილმა საგანგებოდ მიმართა არასაპარლამენტო ოპოზიციას და თვითმმართველობის არჩევნებისთვის მომზადებისკენ მოუწოდა. მისი თქმით, ოპოზიციამ ხალხს ძლიერი არჩევანი უნდა შესთავაზოს. ეს განცხადება ისე იქნა აღქმული, რომ პრეზიდენტმა გაერთიანებისკენ მოგიწოდათ. თავისუფალი დემოკრატები თუ აპირებთ ვინმესთან გაერთიანებას?***

– გაერთიანებაზე საუბარი არ არის, კონსულტაციებს კი სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებთან ვაწარმოებთ. ეს არჩევნების წინ ჩვეულებრივი ამბავია. ჯერ ადრეა იმაზე საუბარი, მოხდება თუ არა გაერთიანება. თუ მოხდება, იმ პარტიასთან გავერთიანდებით, რომელიც იდეოლოგიურად ჩვენთან უფრო ახლოს არის. ერთ-ერთი ასეთია რესპუბლიკური პარტია. მასთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს.

თვითმმართველობის არჩევნებისგან დიდი და აპოკალიფსური მოლოდინი არ უნდა შევიქმნათ. ხელისუფლებამ ამ არჩევნების გასაყალბებლად ჯერ კიდევ შარშან დაიჭირა თადარიგი – თავისუფალ დემოკრატებს საარჩევნო კომისიაში წევრი წაგვართვა და ეს ადგილი მრეწველებს მისცა.

ხელისუფლებას კიდევ უამრავი ბერკეტი აქვს, რომლის გამოყენებითაც მისთვის სასურველი შედეგის დადებას შეეცდება.

***– ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ხელისუფლებისთვის წინააღმდეგობის გაწევა მხოლოდ გაერთიანებულ ოპოზიციას შეუძლია. ამაზე რას ფიქრობთ?***

– ასეთი დიდი და საყოველთაო გაერთიანება შედეგის მომტანი არ იქნება. ამაში არაერთხელ დავრწმუნდით. ჯერ იყო და ყველა შევარდნაძის წინააღმდეგ გაერთიანდა, მერე – სააკაშვილის წინააღმდეგ. ორივე შემთხვევაში ისინი დამარცხდნენ, მაგრამ, საბოლოო ჯამში, უკეთესობისკენ არაფერი შეიცვალა.

ამიტომაც არ მიმაჩნია მიზანშეწონილად „ოცნების“ წინააღმდეგ ყველას გაერთიანება. კარგი იქნება, თუ რამდენიმე ძლიერი პარტია გამოჩნდება და ხალხი მათ შორის გააკეთებს არჩევანს. ეს უკეთესი იქნება ქვეყნისთვისაც და დემოკრატიისთვისაც.

***– იმაზეც საუბრობენ, რომ, შესაძლოა, ოპოზიციის დიდი ნაწილი პრეზიდენტის გარშემო გაერთიანდეს. ამაზე რას იტყვით?***

– თავად პრეზიდენტმა თქვა, რომ ამის გაკეთებას არ აპირებს. დიდ გაერთიანებას რაც შეეხება, ამაზე ჩემი აზრი უკვე მოგახსენეთ.

# თინა ხიდაშელი პოლიტიკიდან წავიდა

თავდაცვის ყოფილი მინისტრი თინა ხიდაშელი პოლიტიკისგან ხანგრძლივ ან სამუდამო პაუზას იღებს. ამის შესახებ ხიდაშელმა რადიო „პალიტრის“ ეთერში, კოკა კვირკველიას გადაცემა „შუადღის სტუდიაში“ სტუმრობისას განაცხადა.



– ასე გამოვიდა, რომ ჩემს სტატუსში ბევრი ყოფილია, მაგრამ მე ვფიქრობ, ეს ბევრს არაფერს ცვლის ჩემთვის. 12-წლიანი პაუზის შემდეგ მე დავბრუნდი იქ, სადაც ვიყავი – სამოქალაქო სექტორში. ძირითადად, სხვადასხვა ქვეყნებს ვეხმარებით საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, საკონსულტაციო საქმიანობას ვეწევი ქვეყნის გარეთ, იქ, სადაც საჭირო ვარ და ვინც თვლის, რომ ჩემი ექსპერტიზა სჭირდებათ, – განაცხადა ხიდაშელმა.

კითხვაზე, გამორიცხავს თუ არა ეს პოლიტიკურ აქტივობას, თავდაცვის ყოფილი მინისტრი პასუხობს:

– მე საკმაოდ გრძელი პაუზის აღება გადავწყვიტე. შეიძლება პაუზაც კი აღარ იყოს და ასე დარჩეს პოლიტიკასთან, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პოლიტიკასთან განშორებას ვაპირებ.

ხიდაშელის თქმით, თავდაცვის მინისტრობა იყო საუკეთესო სამსახური, რაც კი ადამიანმა შეიძლება წარმოიდგინოს და, თუკი ყველაზე საუკეთესო სამსახურში უკვე მუშაობდი, მაშინ შეუძლებელია, სხვა რამე მოგეწონოს.

ხიდაშელმა იმ მიზეზებზეც ისაუბრა, რის გამოც პოლიტიკის დატოვება გადაწყვიტა.

– ეს არის ძალიან ჩვეულებრივი ამბავი, როდესაც ადამიანი უნდა მიხვდე, რომ როდესაც 24 წელი რაღაცას აკეთებ, უფრო სწორად, შენ გგონია, რომ აკეთებ და მერე აღმოჩნდება, რომ შენ გეგონა აკეთებდი, სხვა ტიპის გადაწყვეტილებები უნდა მიიღო. მერე სხვებს ეუბნები: მოდი, ახლა თქვენ აკეთეთ და ვნახოთ, მერე კიდევ შემდეგი 20 წელი რომ გაივლის, შევედაროთ. ამიტომ ეს ძალიან ნორმალურია.

პრობლემა ის არის, რომ ადამიანები შედიან რაღაც როლში და მერე იმ როლიდან ვერ გამოდიან. მე ძალიან ნათლად დავინახე, რომ ქვეყანაში მოვლენები ისე ვითარდება, დამოკიდებულებები ამ მოვლენების მიმართ იმდენად არაჯანსაღია, რომ მე ნამდვილად უნდა გავჩერდე, – განაცხადა თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა.

მისთვის ყველაზე დიდი ბიძგის მიმცემი იყო დოლიძელებისა და ბახტრიონელების არჩევანი.

– არის გეოგრაფიები, სადაც მეტს ელოდები, ვიდრე სოფლად, ვიდრე სხვა წერტილში და სხვა არჩევანში ანუ რაღაც ობიექტური მოცემულობები არსებობს, რომელიც ერთმანეთისგან განსხვავდება. ასეთი ტიპის ობიექტური მოცემულობაა, რომ ამ ქვეყანაში არსებობს რაღაც კონკრეტული წერტილები, სადაც ელოდები, რომ ადამიანების ინფორმირებულობის ხარისხი უფრო მაღალია, გაცნობიერება ამბის უფრო მაღალია. იმიტომ კი არა, რომ ისინი უფრო კარგები არიან და სხვები ცუდები არიან, იმიტომ რომ ადამიანები სხვადასხვანაირები არიან და მოლოდინებიც სხვადასხვანაირი გვაქვს, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

# ალეკო ტაბატაძე: „დღეს არცერთი „ოდეერი“ არცერთ უნივერსიტეტსა და საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ გვყავს“

არცერთი ოფიცერი დღეს არცერთ უნივერსიტეტსა და საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ გვყავს, – აცხადებს სუსის უფროსის მოადგილე. ალეკო ტაბატაძის თქმით, გუშინდელ საკომიტეტო მოსმენაზე კითხვები დაისვა ე.წ. ოდეერების საკითხთან დაკავშირებით:

– რაც შეეხება „ოდეერებს“, ამასთან დაკავშირებით სრული რეორგანიზაცია გავაკეთეთ. შეიქმნა სრულიად ახალი ინსტიტუტი – უსაფრთხოების სამსახურის ოფიცერი, რომელიც მაღალი რისკის მქონე დაწესებულებებში მიავლენს თავის თანამშრომლებს, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ყველაფერი ხდება ორმხრივი თანამშრომლობის და ხელშეკრულების საფუძველზე. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ არცერთი ოფიცერი დღეს არცერთ უნივერსიტეტსა და საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ გვყავს, – განაცხადა ტაბატაძემ.

* * *

– უკანონო მოსმენებზე დასმულ კითხვაზე ჩემი პასუხი იყო ასეთი – მითხარით ერთი კონკრეტული შემთხვევა, თუმცა მათ ვერ დაასახელეს.

ამის შესახებ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე ალეკო ტაბატაძემ ჟურნალისტებს პარლამენტის სამი კომიტეტის გაერთიანებული სხდომის შემდეგ განუცხადა, სადაც 2016 წლის ანგარიში წარადგინა.

როგორც ტაბატაძემ აღნიშნა, მან კითხვებზე კანონმდებლობიდან გამომდინარე ამომწურავი პასუხები გასცა.

– იყო უკანონო მოსმენებზე კითხვა და ამაზე ჩემი პასუხი იყო ასეთი – მითხარით ერთი კონკრეტული შემთხვევა, თუმცა ასეთი ვერ დაასახელეს. რაც შეეხება „ოდეერებს“, ამასთან დაკავშირებით სრული რეორგანიზაცია გავაკეთეთ. შეიქმნა სრულიად ახალი ინსტიტუტი – უსაფრთხოების სამსახურის ოფიცერი, რომელიც მაღალი რისკის მქონე დაწესებულებებში მიავლენს თავის თანამშრომლებს, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ყველაფერი ხდება ორმხრივი თანამშრომლობის და ხელშეკრულების საფუძველზე. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ არც ერთი ოფიცერი დღეს არც ერთ უნივერსიტეტსა და საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ გვყავს, – განაცხადა ტაბატაძემ.

# „ამერიკა-რუსეთის დაპირისპირება, შესაძლოა, კავკასიაში ან უკრაინაში მოხდეს“

გულიკო ბალაძე

შეიარაღებული ძალების სამოქალაქო კონტროლის ჯგუფის ხელმძღვანელი, სამხედრო უფლებადამცველი **დავით ნემსაძე** „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ ამერიკა-რუსეთის დაპირისპირება შეიძლება მოხდეს კავკასიაში ან უკრაინაში.

– ბოლო დროს პროცესები მსოფლიოში შემდეგნაირად განვითარდა: სანკტ-პეტერბურგის მეტროპოლიტენში ტერაქტი განხორციელდა. შედეგად, ასადის არმიამ, რომელსაც ლობირებს რუსეთის ფედერაცია, როგორც პოლიტიკურად, ისე სამხედრო შეიარაღებით, გამოიყენა ქიმიური იარაღი. ბოლო პერიოდში ეს არის სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენების მეორე შემთხვევა. ქიმიური იარაღი ასადმა გამოიყენა, მაგრამ იქ ისე არაფერი ხდება, თუ რუსეთის ფედერაცია არ მონაწილეობს. ასადის რეჟიმმა დაბომბა ქიმიური საწყობები, რაც რუსებმა ძალიან კარგად იცოდნენ, – განაცხადა დავით ნემსაძემ.

***– კონკრეტულად, რა ქიმიური ნივთიერება გამოიყენეს?***

– სირიაში ასადმა გამოიყენა ქიმიური საბრძოლო ნივთიერება „ზარინი“. ეს იარაღი სირიაში მეორედ გამოიყენეს. პირველ შემთხვევაში ქიმიური იარაღი გაავრცელეს არტილერიის გამოყენებით. მეორედ დაიბომბა ქიმიური იარაღის საცავები. არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, როგორ აამოქმედებ იარაღს. ასადმა იდლიბის პროვინციაში არსებული იარაღის საცავები დაბომბა. მან ძალიან კარგად იცოდა, რომ იქ ქიმიური იარაღის საცავები იყო.

იმ ტერიტორიაზე იბრძვის ასადის ოპოზიცია, რომლის ნაწილს ლობირებს აშშ და ევროპა, ხოლო ასადის რეჟიმს ლობირებს რუსეთის ფედერაცია. ასადმა იერიში მიიტანა ისლამურ სახელმწიფოზე. ასადის ოფიციალური მოტივი ისლამურ სახელმწიფოზე დარტყმა იყო, მაგრამ მოსახლეობა დაიღუპა. მათ შორის, შეიძლება დაიღუპნენ ისინიც, რომლებიც, გარკვეული ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა დაღუპულიყვნენ.

ეჭვს ისიც მიმძაფრებს, რომ ამის საპირისპიროდ აშშ-მ ხმელთაშუა ზღვაში სამხედრო კრეისერები შემოიყვანა და ხმელთაშუა ზღვიდან საჰაერო სივრცის გადაჭრით, შორს მსროლელი რაკეტების გამოყენებით დაბომბა. ეს არის სტრატეგიულ-ტაქტიკური რაკეტები, ტომაჰავკები, რომელიც 2.500 კილომეტრის სიშორეზე მოქმედებს. აშშ-ის შეიარაღებაში ეს იარაღი არის 1983 წლიდან, თანდათან მოდიფიკაციას გადის და უმჯობესდება. ის 1.450 კილოგრამს იწონის. დარტყმა განახორციელა სწორედ იმ ავიაბაზაზე, საიდანაც ასადის რეჟიმმა დაბომბა ქიმიური იარაღის საწყობები, თუმცა იმ მოცულობის ზარალი არ იყო, რომლითაც ამერიკა იმუქრებოდა.

***– ფრთოსანი რაკეტები დაიკარგაო.***

– დიახ, დაიკარგა. ასეთ ქმედებებს იმიტომაც მიმართავენ, რომ ტექნიკა დაიხვეწოს. თუ ტექნიკას ნაკლოვანებებს შეამჩნევენ, მაშინვე ქარხანაში აბრუნებენ გაუმჯობესებისთვის.

***– იარაღი გამოცადეს?***

– დიახ, იარაღის გამოცდა ხდება, გეოპოლიტიკური გიგანტები ერთმანეთს ეჯიბრებიან ბუფერულ სახელმწიფოებში და ყველანაირ ტკივილს თანამედროვე იარაღის სიძლიერეს სირია თავის თავზე გრძნობს. შედეგები პირდაპირ არც რუსეთს ეხება და არც – ამერიკას. პოლიტიკური ჭიდილი მიდის. ამ შემთხვევაში ტომოჰალკები გამოიყენა. აქ ისმება კითხვა, რატომ არ ჩამოაგდო რუსეთის ფედერაციამ ამერიკის რაკეტები?

***– რატომ?***

– ეს უფრო პროვოცირებული თემა იყო, რადგან რუსეთ-თურქეთის კრიზისის დროს, როცა თურქებმა რუსების თვითმფრინავი „სუ-24“ ჩამოაგდეს, დრო იხელთეს რუსებმა, თავიანთი საჰაერო სივრცის დაცვის მოტივაციით სირიაში ჰაერსაწინააღმდეგო, მაღალი კლასის „ც-400“ შეიყვანეს და ხმეიმიმის ავიაბაზაზე განათავსეს. ეს არის ზეთანამედროვე ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა, რომელსაც ანალოგი არ აქვს.

***– ამ კუთხით რუსეთს უკეთესი შეიარაღება აქვს, ვიდრე ამერიკას?***

– დიახ. თავისი ტექნიკური და ტაქტიკური მახასიათებლებით ჰაერსაწინააღმდეგო იარაღი „ც-400“ ბევრად აღემატება ამერიკულ პეტრიოტსებს, მაგალითად, შეუძლია, მიწიდან დაახლოებით 10-15 მეტრში გაეკიდოს ფრთოსან რაკეტებს და გაანადგუროს. თვითონ სისტემა „ც-400“ 250 კილომეტრის რადიუსში მოქმედებს. მას შეუძლია, 26 აეროდინამიკურ მიზანს გაეკიდოს ერთი კომპლექსიდან გასროლილი იარაღით და 5 წუთში იშლება საბრძოლო მდგომარეობა. მას ასევე შეუძლია სროლები განახორციელოს როგორც აეროდინამიკურ მიზნებზე, ისე ბალისტიკურ რაკეტებსა და სხვადასხვა მოძრავ საჰაერო სამიზნეზე.



გარდა ამისა, „ც-400“-ის შეყვანის შემდეგ, რაც რუსეთსა და თურქეთს შორის ვითარება დაიძაბა, გამოიყენეს ანტიტერორისტული მოტივი და ირანში, რომელიც ასევე რუსეთის მოკავშირეა, შეიყვანეს თავიანთი კოსმიური ავიაცია და განალაგეს ჰამადანის აეროდრომზე.

ეს არის შორსმოქმედი ავიაცია. ამით რუსეთმა გააკონტროლა მთელი სპარსეთის ყურე და თან ლეგალურად გადასცა ირანს „ც-300“ ტიპის ჰაერსაწინააღმდეგო შეიარაღება.

***– ამით რუსეთმა რას მიაღწია?***

– ამით რუსეთმა გეოპოლიტიკური სივრცე გაიძლიერა და ირანს ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა გადასცა. ირანისთვის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა უმოტივოდ რომ გადაეცა, მსოფლიო თანამეგობრობა ყვირილს ატეხდა, მაგრამ, რადგან ანტიტერორისტული მოტივით შევიდა და თან განალაგა თავისი ავიაცია, გააძლიერა ირანის საჰაერო თავდაცვის მიმართულებაც.



ფაქტობრივად, სირია მოქცეული ჰყავს რკალში, რადგან ირანიდან გამაგრებული აქვს პოზიციები როგორც ჰაერსაწინააღმდეგო სისტემით, კოსმიური ავიაციით, რომლითაც სირიას აკონტროლებს. ამას პლუს დარტყმის შემდეგ, საპასუხო რეაქცია ის იყო, რომ ამერიკის საზღვაო გემებთან, ხმელთაშუა ზღვაში, ასევე შეიყვანა თავისი რაკეტმზიდი კრეისერები.

საპასუხო რეაქცია იყო ის, რომ აშშ-მ საზენიტო ატომური კრეისერები შეიყვანა ჩრდილო კორეის მიმართულებით.

რუსეთი გამოვიდა 2015 წლის მემორანდუმიდან, რომელიც ითვალისწინებდა უსაფრთხო ცის ფორმატს. ზუსტად ამ ფორმატში არ გაუხსნა ცეცხლი ტომაჰავკებს, რომლებიც გასროლილი იყო სირიის მიმართულებით. საპასუხოდ ამისა, რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ყველა მგრძნობიარე ობიექტს სირიაში დაიცავს რუსეთის თავდაცვის სამინისტრო. რუსეთი ზრდის თავის სამხედრო პოტენციალს.

***– თუ პირდაპირ დაპირისპირებას ერიდება?***

– რუსეთი ამერიკას პირდაპირ არ დაუპირისპირდება. ეს არ ყოფილა საბჭოთა კავშირის დროს, არ მოხდება ახლაც. ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან ბუფერულ სახელმწიფოებში. ანალოგიური ხდება სირიაშიც. სირია განიცდის უახლოესი იარაღის გამოცდას საკუთარ თავზე. ადეკვატური პასუხები შეიძლება რუსეთმა ამერიკას გასცეს სხვაგან, სხვა პოლიტიკურ ზოლში.

***– სად?***

– ამერიკა-რუსეთის დაპირისპირება შეიძლება მოხდეს კავკასიასა და უკრაინაში.

***– ანუ კავკასიაში რუსეთთან კონფლიქტი შეიძლება განახლდეს?***

– კონფლიქტის განახლებას ამ ეტაპზე არ ვპროგნოზირებ. შეიძლება მოხდეს სიტუაციის ესკალაცია ან კონფლიქტურ ზონებში შეიძლება გაძლიერდეს რუსეთის შეიარაღება.

***– შეიარაღება უკვე გაძლიერებულია. ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებია განთავსებული.***

– არ არის გაძლიერებული. ეს კიდევ არ ნიშნავს გაძლიერებას. შეიძლება, ისეთი შეტევითი სახის შეიარაღება იქნეს შემოტანილი, რომელიც მოქმედების რადიუსს გაზრდის.

***– ვითარების ცხელ ფაზაში გადაყვანა რა შემთხვევაშია მოსალოდნელი?***

– არ გამოვრიცხავ, თუ სიტუაცია არ დარეგულირდება, თუ რუსეთის ამბიციები არ დაცხრება და დათმობებზე არ წავლენ, რუსეთისაგან ბევრი რამ არის მოსალოდნელი.

***– ვინ უნდა წავიდეს დათმობაზე?***

– მსოფლიო თანამეგობრობა. ის, ვინც რუსეთს უწესებს სანქციებს და ხდება მისი ეკონომიკური შეზღუდვა, თუ ეს მას ძალიან შეაწუხებს, რადიკალურ ზომებს მიმართავს. რუსეთი სამხედრო პოლიტიკას სამხედრო სიძლიერეზე ამყარებს.

***– მიუხედავად სანქციებისა, რუსეთი მაინც არ შეზღუდულა და სამხედრო მოქმედებებს აწარმოებს სირიაში.***

– რუსეთმა შეიძლება სირიიდან ფრონტი გადმოიტანოს უკრაინაში. ეს შეიძლება გამოიხატოს გაცილებით დიდ რადიუსზე შემტევი იარაღის განთავსებით ან საოკუპაციო ზოლზე პროვოკაციების მოწყობით. უკრაინასა და საქართველოში უკვე გააჩნია იმგვარი შეიარაღება, რომ ამგვარი პროვოკაციების მოწყობა არ გაუჭირდება.

## გიორგი ანდრიაძე: „საქმე შეკერილია“

– თუ პროკურატურა უახლოეს ხანში ვერ დადებს და დღემდე ვერ დებს მტკიცებულებებს მამა გიორგი მამალაძის მიერ ციანიდის მოპოვებისა და გადაცემის ფაქტზე, გამოდის, რომ განხორციელებული კამპანიის მთავარი მიზანი ეკლესიის დისკრედიტაცია იყო.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის საპატრიარქოს უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ანდრიაძემ განუცხადა.

მისივე თქმით, დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმით შეიქმნა ფონი, რის საფუძველზეც საზოგადოებაში ეკლესიის დისკრედიტაციის თემები განვითარდა.

როგორც გიორგი ანდრიაძემ აღნიშნა, ყველაფერი ითქვა, გარდა იმისა, რაზეც დეკანოზი გიორგი მამალაძე დააკავეს.

– თუ პროკურატურა უახლოეს ხანებში ვერ დადებს და დღემდე ვერ დებს მტკიცებულებებს მამა გიორგი მამალაძის მიერ ციანიდის მოპოვებისა და გადაცემის ფაქტზე, დანარჩენი კი ყველაფერი ფარდობითი და სადავოა, ეს შეიძლება მიანიშნებდეს იმაზე, რომ მამა გიორგი მამალაძის განცხადება, „საქმე არის შეკერილი“, შეიძლება იყოს მართალი. განხორციელებული კამპანიის მთავარი მიზანი კი ეკლესიის დისკრედიტაცია იყო, – განაცხადა ანდრიაძემ.



მისივე თქმით, მამა გიორგის ადვოკატები უკვე ევროსასამართლოს მიმართავენ და, ალბათ, როგორც ტელეკომპანია რუსთავი 2-თან დაკავშირებით, აქაც იმავე პროცესს მივიღებთ.

– დეკანოზი გიორგი თუ გამართლდა, შემდეგ უკვე გასაგებია, რა პროცესები წავა. მისი მხარდამჭერი ეპისკოპოსები გამარჯვებული სახით მოევლინებიან და რევოლუციური პროცესები განვითარდება. თუ დეკანოზი გიორგი მამალაძე მართალია, მაშინ დამნაშავე გამოდის მისი მოწინააღმდეგე მხარე, როგორც ეს მასმედიით წარმოჩნდა – ოფიციალური საპატრიარქო. ფაქტობრივად, ამ პროცესებს, ამ ყველაფერს, აწარმოებს პროკურატურა მთლიანად ან ნაწილობრივ მისი წარმომადგენლები. ნათქვამი ვინმემ მთლიანად ხელისუფლების კრიტიკად რომ არ მიიღოს, მინდა დავაფიქსირო, რომ ეს არ ეხება პრემიერ-მინისტრს – ასეთი პატიოსანი, პატრიოტი პრემიერ-მინისტრი ჯერ საქართველოს არ ჰყოლია. ყველასთვის ცნობილია, საქართველოში დიდი ხანია კოჰაბიტაციური პროცესები მიმდინარეობს. კოჰაბიტაცია ნიშნავს „ნაცმოძრაობის“ ყოფილ მხარდამჭერებს, რომელიც ხელისუფლებამ გულში ჩაიხუტა, ალბათ, ვილაცების მითითებით, – აღნიშნა გიორგი ანდრიაძემ.

კითხვაზე, არის თუ არა მღვდელმთავრების გარკვეულ ჯგუფებს შორის დაპირისპირება, ანდრიაძემ განაცხადა, რომ ეკლესიაში არანაირი დაპირისპირება არ არის და პატრიარქის გარშემო მღვდელმთავრები ყოველთვის იყვნენ ერთიანი.

– იყო აზრთა სხვადასხვაობა, იყო სიმპათია ან ანტიპათია, ეს ყველგან არის და იქნება კიდეც, მაგრამ დაპირისპირება და ეკლესიის დისკრედიტაციის პროცესები, რომელიც მიმდინარეობს, ეს არ მოდის შიდა განწყობებიდან, ეს არის გარედან მართული პროცესი. ამან უკვე კატასტროფული ხასიათი მიიღო, მათ შორის საერთაშორისო დონეზე ეკლესიის სახელის დისკრედიტაციისთვის. დეკანოზმა მამალაძემ აღსარებაც ჩააბარა და ის თავს დამნაშავედ არ ცნობს. ციანიდის მოპოვებისა და გადაცემის ფაქტი დღემდე არ ფიქსირდება. ეს ყველაფერი ძალიან საფუძვლიანი ეჭვს ბადებს, რომ შეიძლება მისი ნაამბობიდან ძალიან დიდი ნაწილი სიმართლე იყოს, გარდა იმ ფაქტისა, რომ ციანიდის შეძენა შორენა თეთრუაშვილმა დაავალა, – განაცხადა ანდრიაძემ.

## „აუდიტორია 115“-ის წევრები შსს-ში დაიბარეს

„აუდიტორია 115“-ის წევრები შსს-ში გამოკითხვაზე დაიბარეს. საქმე ეხება 9 თებერვლის აქციას, როდესაც „აუდიტორია 115“-ის წევრების ნაწილი საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობაში შეიჭრა. მაშინ აქციის მონაწილეები მაუწყებელს პირდაპირი ეთერის დათმობას სთხოვდნენ. შსს-მ გამოძიება სს კოდექსის 239-ე – ხულიგნობის მუხლით დაიწყო.




**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# „თამბაქოს შესახებ კანონი ვერ იმუშავებს“

– საქართველოში ძალიან ბევრი ადამიანი ეწევა და შეუძლებელია ამდენი ადამიანის შემოწმება ყოველდღიურად, მათ შორის შენობებში, – ამის შესახებ განცხადება რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „სოციალური პოლიტიკა“ ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ წარმომადგენელმა **ნიკა ობოლაძემ** გააკეთა.

– გეტყვით, თუ რატომ არ იმუშავებს ეს კანონი იმ სახით, რა სახითაც არის წარმოდგენილი. საჯარო სივრცეში, რა თქმა უნდა, გამართლებულია მოწევის აკრძალვა, რადგან მას ერთი კონკრეტული მესაკუთრე არ ყავს. ეს კანონი რას გვეუბნება, თუკი კერძო მესაკუთრემ გადაწყვიტა, რომ გააკეთოს ბარი მწეველებისთვის, კერძო პირებმაც გადაწყვიტეს, რომ მივიდნენ იმ დაწესებულებაში, სადაც მოწევა დაშვებულია. აქ ყველა მესაკუთრით დაწყებული, შესული კლიენტებით დამთავრებული თანხმდებიან, რომ უნდათ მოწევა. მათ სახელმწიფო ეუბნება, რომ თქვენ არ გაქვთ უფლება მოწიოთ.




სახელმწიფოს მიზანია ადამიანების ჯანმრთელობა დაცვას, მაგრამ ადამიანებს ზოგადად აქვთ თვისება, რომ იციან, რაღაც შესაძლოა, მათთვის საზიანო იყოს, მაგრამ ამას მაინც აკეთებენ, იმიტომ, რომ ისინი საკუთარ ცხოვრებაზე გადაწყვეტილებას თავად იღებენ. ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის სოციალურ და ეკონომიკურ პირობებს. ამ ლოგიკას რომ გავყვეთ, სახელმწიფომ შესაძლოა, აკრძალოს ალკოჰოლი იმიტომ, რომ ცუდია და ა.შ. საქართველოში ძალიან ბევრი ადამიანი ეწევა და შეუძლებელია ამდენი ადამიანის შემოწმება ყოველდღიურად, მათ შორის შენობებში, – განაცხადა ობოლაძემ.

საქართველოს კანონის პროექტი „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომელიც ყველა ტიპის შენობაში მოწევის სრულ აკრძალვას ითვალისწინებს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, პირველი მოსმენით მიიღეს. კანონით, თამბაქოს მოწევა იკრძალება ყველა დახურულ სივრცეში, გარდა საცხოვრებელი სახლისა და საპატიმრო დაწესებულებებისა. მოწევა ზოგიერთ ღია ადგილშიც აიკრძალება.

შენობაში თამბაქოს მოხმარებისთვის, იურიდიული პირი თავდაპირველად, 500 ლარით, განმეორების შემთხვევაში 2 ათასი, ხოლო სისტემატური მოხმარებისას 5 ათასი ლარით დაჯარიმდება.

ასევე აიკრძალება თამბაქოს ნაწარმის რეკლამა (მათ შორის, ვიტრინებზე და სავაჭრო ობიექტის შიგნით გამოფენა), პოპულარიზაცია და სპონსორობა. აკრძალული იქნება პროდუქციის გზის ნაწილზე განლაგება.

კანონპროექტის ინიციატორი პარლამენტის წევრი გუგული მაღრაძეა. მისი მოსაზრებით, კანონში სპეციალური ოთახების მოწყობა მწეველებისთვის არ უნდა იყოს გაწერილი.

პარლამენტში კანონპროექტის მეორე მოსმენაზე, კანონის მიღების შემდეგ მისი ადმინისტრირების წესი უნდა გადაწყდეს. ახალი რეგულაციები ძალაში 2018 წლიდან შევა.

# რუსეთში „ლუკოილი“, შესაძლოა, საცალო ბაზრიდან გავიდეს — დარჩება თუ არა „ლუკოილი“ ქართულ ბაზარზე?

ნავთობგიგანტმა „ლუკოილმა“ რუსეთში ბენზინგასამართი სადგურების გაყიდვასთან დაკავშირებით 3 პოტენციური ინვესტორისგან შეთავაზება უკვე მიიღო და ამ წინადადებებს განიხილავს. რუსული მედიის ინფორმაციით, შესაძლებელია, კომპანია დათანხმდეს 2017 წლის ბოლოსთვის რუსეთში მისი კუთვნილი ბენზინგასამართი სადგურების გაყიდვას – წერს ტასსი.

კომპანიაში, წყაროს თქმით, „ლუკოილმა“ გადაწყვიტა, 2 წლის განმავლობაში ყველა ბენზინგასამართი სადგური გაყიდოს. განიხილება ასევე ვარიანტი, რომელიც გულისხმობს ყოველ კვარტალში სადგურების 10%-ის გაყიდვას.




როგორც წყარომ აღნიშნა, საცალო ვაჭრობას „ლუკოილისთვის“ ეკონომიკური და რეპუტაციული დანაკარგები მოაქვს.

– მოგება ძალიან დაბალია და „ლუკოილს“ არ სურს, თავის თავზე აიღოს საწვავზე ფასების გაზრდა, რადგანაც ეს იწვევს სოციალურ უკმაყოფილებას. საცალო ვაჭრობა არ არის პრიორიტეტი კომპანიისთვის და მისი ძირითადი მიმართულებაა – ნავთობის მოპოვება-გადამუშავებაა, – განაცხადა წყარომ და დასძინა, რომ აგს-ების ქსელის ოპტიმიზაცია განხორციელდება აუცილებლად, ყველა შემთხვევაში.

მარტის ბოლოს რბც.რუ-მ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ლუკოილი“ გეგმავს რუსეთში თავისი ავტოგასამართი სადგურების 30%-ს გაყიდვას ბიზნესის დაბალი რენტაბელურობის გამო. აპრილში ეს ცნობა დაადასტურა „ლუკოილის“ პრეზიდენტმა ვაგიტ ალექპეროვმა, თუმცა, მისი თქმით, ჯერ არანაირი კონკრეტული გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

„ლუკოილი“ მსოფლიოს მასშტაბით სულ 5,5 ათას ბენზინგასამართ სადგურს ფლობს, საიდანაც 2,5 ათასი რუსეთშია.

ხომ არ განიხილება საქართველოშიც „ლუკოილის“ ბენზინგასამართი სადგურების დახურვა, ამასთან დაკავშირებით ნავთობკომპანია „ლუკოილის“ გენერალური დირექტორი შავლეგ მიშველაძე ინფორმაციას არ ფლობს. მისი თქმით, საქართველოში კომპანია ისე მუშაობას, როგორც აქამდე მუშაობდა.

– ჩემამდე არაფერი მსგავსი ინფორმაცია არ მოსულა. ჩვეულებრივად ვმუშაობთ, ისე, როგორც აქამდე ვმუშაობდით. მგონია, რომ რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი, – აცხადებს მიშველაძე.

როგორც ცნობილია, ამჟამდ „ლუკოილი“ საქართველოს მასშტაბით 65 ბენზინგასამართ სადგურს ფლობს.

# მიწის ნაკვეთები 20-30%-ით გაძვირდა

კომერციული, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთების ფასი 20-30%-ით გაიზარდა.

ინფორმაციას ამის შესახებ უძრავი ქონების სააგენტო MYCLIENT.GE ავრცელებს.

როგორც სააგენტოს ერთ-ერთი დამფუძნებელი ვასილ ბერიძე განმარტავს, სასურველი



მიწის ნაკვეთები დეფიციტშია. მათზე მოთხოვნა გაიზარდა, მიწოდების პროცესი კი შემცირდა.

– დეფიციტშია ისეთი მიწის ნაკვეთები, რომელთა ფართობი 600-1.000 კვადრატულ მეტრამდე მერყეობს ან რომელთა სრული სამშენებლო ფართობი 11.000 კვადრატული მეტრია. მიწის ნაკვეთის პოვნა და შეძენა პრესტიჟულ უბნებში ძალიან რთულია, – აცხადებს ბერიძე.

მისივე თქმით, მიწაზე ფასის მატება გასულ წელს თბილისის მერიის მხრიდან განაშენიანების რეგულირების გამკაცრების საკითხმაც გამოიწვია.

MYCLIENT.GE-ის ბროკერთა ცნობით, დღესდღეობით განსაკუთრებით მოთხოვნად უბნებად საბურთალო, ძველი თბილისი, დიდი დიღომი, გლდანი და ვარკეთილი სახელდება.

# საკოლექციო

## 5-ლარიანი მონეტის გაყიდვა ივლისიდან დაიწყება

ქართული ვაზის თემაზე საკოლექციო დანიშნულების 5 ლარის ნომინალის ვერცხლის მონეტის რეალიზაცია ივლისიდან დაიწყება.

როგორც ეროვნული ბანკი იუწყება, 2017 წელს საფრანგეთში, ბორდოს ღვინის მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრში საქართველო საპატიო სტუმარი იქნება, სადაც იგი წარმოაჩენს როგორც მევენახეობა-მეღვინეობას, ასევე ქართულ კულტურას, ეთნოგრაფიასა და ისტორიას. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გადაწყვიტა ამ მოვლენას გამოეხმაუროს და ქართული ვაზის თემაზე საკოლექციო დანიშნულების 5 ლარის ნომინალის ვერცხლის მონეტა გამოუშვას, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს, როგორც ქვეყნის პოპულარიზაციასა და ქართული ღვინის კულტურის მსოფლიო ცნობადობის ამაღლებას.




როგორც ეროვნულ ბანკში აცხადებენ, მონეტის დიზაინი ღია კონკურსის წესით შეირჩა და მისი ავტორი ნინო გონგაძეა. მონეტა იაპონიის ზარაფხანაში იჭრება და მისი რეალიზაცია მიმდინარე წლის ივლისიდან დაიწყება.

# გამწვანებული ტერიტორიის გარეშე შენობა ექსპლუატაციაში აღარ მიიღება

„თბილისის საზღვრებში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილების თანახმად, თბილისის მერია, ერთი თვის ვადაში შეიმუშავებს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს თბილისში მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობის ახალ წესს, რომლის თანახმადაც, დედაქალაქში მშენებლობა არ განხორციელდება ისე, რომ მშენებელმა მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე არ მოაწყოს გამწვანებული ტერიტორია.



საკანონმდებლო ცვლილება ასევე გულისხმობს საკომპენსაციო რგვებისა და მწვანე ნარგავების შეფასებაზე უფლებამოსილი პირებისათვის სავალდებულო კრიტერიუმების დაწესებას. ?აღნიშნული ინიციატივა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ საკრებულოს წევრებს 2016 წლის ანგარიშის წარდგენისას გააცნო.

მისი თქმით, მიმდინარეობს მუშაობა ახალ რეგულაციებზე, კერძოდ, კ-3 კოეფიციენტის ფარგლებში დენდროლოგიური პროექტის სავალდებულო წესით შეთანხმებაზე, რომლის შესრულების ვალდებულება დაეკისრება დეველოპერს და მისი განხორციელების გარეშე შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღება არ დაიშვება.

დავით ნარმანიას ინფორმაციით, ასევე, დასრულების ფაზაშია, მოლაპარაკება დიღმის ტყე-პარკის კერძო მესაკუთრეებთან ტერიტორიების ადგილ მონაცვლეობის თაობაზე, რომელიც საშუალებას იძლევა დიღმის ტყე-პარკი შეუნარჩუნდეს დედაქალაქს.

– მაშინ, როდესაც, დედაქალაქის წინა ხელისუფლების დროს, ერთ ღამეში იჩეხებოდა თბილისში არსებული გამწვანებული ტერიტორიები, ჩვენ თითოეული ხმელი ხის მოჭრაზე გავცემთ ნებართვას და ვადგენთ სტატისტიკას, – განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ.

# 16 და 17 აპრილს თბილისის სასაფლაოების მიმართულებით ავტობუსები უფასოდ იმოძრავებენ

დედაქალაქის მერიის გადაწყვეტილებით, 16 და 17 აპრილს, მუნიციპალური ავტობუსები თბილისის სასაფლაოების მიმართულებით უფასოდ იმოძრავებენ.




როგორც თბილისის მერია იუწყება, 15 აპრილს მეტროს მუშაობა 00:00 საათიდან 16 აპრილის დილის 04:00 საათამდე გახანგრძლივდება და 23:00 საათიდან მეტროპოლიტენი მგზავრებს უფასოდ მოემსახურება.

– 16 და 17 აპრილს, 08:00 საათიდან 20:00 საათამდე, მუნიციპალური ავტობუსები თბილისის სასაფლაოების მიმართულებით უფასოდ იმოძრავებენ.

მუნიციპალური ტრანსპორტი მგზავრებს მუხათგვერდისა და ვაშლიჯვრის სასაფლაოებზე მეტროსადგურ „დიდუბიდან“ გაიყვანს, კუკია-მახათასკენ – სადგურისა და კოტე მარჯანიშვილის მოედნებიდან, საბურთალოს სასაფლაოზე – მეტროსადგურ „დელისიდან“, თბილისის ზღვის სასაფლაოზე – მეტროსადგურ „სარაჯიშვილიდან“, ასევე, ვერის სასაფლაოსკენ მიმავალი ავტობუსი დოდო ჭიჭინაძის ქუჩის 25-ე კორპუსის მიმდებარედ გაჩერდება, ხოლო ვარკეთილის სასაფლაოებისკენ მეტროსადგურ „ვარკეთილიდან“ და შუამთის ქუჩის მე-10 კვარტლიდან იმოძრავებს, – ნათქვამია თბილისის მერიის განცხადებაში.

# ბეთანიის გზაზე დათვის ბელი იპოვეს



ბეთანიის გზაზე დათვის ბელი იპოვეს.

ამის შესახებ ინფორმაციას თამაზ ელიზბარაშვილის ძაღლების თავშესაფარი ავრცელებს.

მათი ცნობით, დათვის ბელი ბეთანია-სამადლოს გზატკეცილზე მოქალაქემ იპოვა და თამაზ ელიზბარაშვილის ცხოველთა თავშესაფარში მიიყვანა.

თავშესაფრის მეპატრონე ვარაუდობს, რომ დედა დათვი ბრაკონიერებმა სხვა ადგილზე მოკლეს, ბელი კი ბეთანიაში წამოიყვანეს და დატოვეს, რათა ვინმეს ეპოვა.

# 15 აპრილს მეტროს მუშაობა 00:00 საათიდან 16 აპრილის 04:00 საათამდე გახანგრძლივდება




აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით მეტროს მუშაობა გახანგრძლივდება. როგორც თბილისის მერია იუწყება, 15 აპრილს მეტროს მუშაობა 00:00 საათიდან 16 აპრილის დილის 04:00 საათამდე გახანგრძლივდება და 23:00 საათიდან მეტროპოლიტენი მგზავრებს უფასოდ მოემსახურება.

ამასთან, დედაქალაქის მერიის ცნობით, 16 და 17 აპრილს, 08:00 საათიდან 20:00 საათამდე, მუნიციპალური ავტობუსები თბილისის სასაფლაოების მიმართულებით უფასოდ იმოძრავებენ.

# სუსი: 2016 წელს სისხლის სამართლის პასუხისგებაში 59 პირია მიცემული



სუსის ანტიკორუფციულ სააგენტოში 2016 წლის განმავლობაში გამოძიება სისხლის სამართლის 47 საქმეზე დაიწყო.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოველწლიური ანგარიშის თანახმად, მათ შორის, ქრთამის აღების 22 ფაქტია, ქრთამის მიცემის – 2, თაღლითობის – 8, კომერციული მოსყიდვის – 5, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების – 4, მითვისების ან გაფლანგვის – 2, სამსახურებრივი გულგრილობის – 2 და სხვა ცალკეული დანაშაულები.

საანგარიშო პერიოდში ბრალდებულების სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია სულ 59 პირი 32 სისხლის სამართლის საქმეზე.

ამასთან, სუსის ინფორმაციით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ცალკეულ შემთხვევებში საქართველოს მთავარ პროკურატურასთან ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად, განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დაკავებულია არაერთი საჯარო მოხელე.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში პარლამენტს განსახილველად უკვე წარედგინა. პარლამენტის რეგლამენტის გათვალისწინებით, ანგარიშის განხილვა სავალდებულოა როგორც კომიტეტების ფარგლებში, ასევე პლენარულ სხდომაზე. განხილვა მიმდინარე თვის განმავლობაში გაიმართება. საკომიტეტო მოსმენის ფარგლებში ანგარიშს წარადგენს სუსის თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე ტაბატაძე. უცნობია, მივა თუ არა პარლამენტში თავად სუსის უფროსი ვახტანგ გომელაური, რადგან პარლამენტის რეგლამენტში განხორციელებული ბოლო ცვლილებებით, ანგარიშის წარდგენის უფლებამოსილება, სუსის ხელმძღვანელის გარდა, აქვს მის მოადგილეს.

# ადვოკატი: „პროკურატურამ შორენას სადეკანო დაკითხა. ყველა მათგანის ჩვენება სიტყვასიტყვით ჰგავდა ერთმანეთს“

ადვოკატის ინფორმაციით, ე.წ. ციანიდის საქმეზე პროკურატურამ საპატრიარქოს სამდივნოს 5 თანამშრომელი დაკითხა.

როგორც დაკავებული სასულიერო პირის ადვოკატები მედიასთან აღნიშნავენ, ყველა მათგანის ჩვენება სიტყვასიტყვით ჰგავდა ერთმანეთს, რაც ეჭვებს აჩენს.

გიორგი ფანცულაიას ინფორმაციით, მან პროკურატურიდან უკვე მიიღო საქმის ახალი მასალები, სადაც ახალი მოწმეების დაკითხვის ოქმები და ექსპერტიზის დასკვნებია.

– მათ შორენას სადეკანო დაკითხეს, რომლებიც საუბრობენ, თუ რა კეთილი ქალბატონია შორენა. ამ საქმეში იყო რამდენიმე ექსპერტიზა დანიშნული, რამდენიმეზე პასუხია მოსული. პასუხი ძირითადად ეხებოდა ტექნიკურ საშუალებებს, რომლებიც მამა გიორგი მამალაძისგან ამოიღეს. საქმის მასალიდან მასზე ჩატარდა ექსპერტიზები და შემიძლია გითხრათ, არც იქ ჩანს, რომ მამა გიორგი მამალაძე ვინმეს მკვლელობას ამზადებდა, – აცხადებს ადვოკატი გიორგი ფანცულაია.

ინფორმაციას, რომ საპატრიარქოს ადმინისტრაციისა და კანცელარიის თანამშრომლები დაიკითხნენ, ადასტურებს იურისტი ედიშერ ქარჩავა.

– დაიკითხნენ საქართველოს საპატრიარქოს თანამშრომლები, თანამშრომლები, სამოქალაქო პირები. ხუთი პიროვნება გამოიკითხა მოწმის სტატუსით და მათ მისცეს ჩვენება იმასთან დაკავშირებით, რაიმე ინფორმაცია ხომ არ გაუგიათ ციანიდთან ან გველის შხამთან დაკავშირებით. მათ მისცეს ჩვენება მე როგორც ვიცი, რომ მათ ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ, უბრალოდ, არ სმენიათ, – განაცხადა ედიშერ ქარჩავამ.

როგორც ირკვევა, კიდევ ერთხელ დაიკითხა საქმის ერთ-ერთი მთავარი მოწმე ირმა ჭკადუაც.



# მიმდინარე წელს ოჯახში ძალადობის შედეგად 4 ქალი მოკლეს

– მიმდინარე წელს, ჩვენი მონაცემებით, ფემიციდის 4 შემთხვევა მოხდა. გასულ წელს 21, ხოლო 2015 წელს ოჯახში ძალადობის შედეგად 16 ქალი იქნა მოკლული, – ამის შესახებ სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელ ერიკა კვაპილოვასთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ომბუდსმენის თქმით, მისი ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო კანონში ფემიციდის შესახებ სპეციალური ნორმის გაჩენა გამომდინარე იქიდან, რომ ეს არის სერიოზული პრობლემა ქვეყანაში.

უჩა ნანუაშვილის განმარტებით, შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივის გაზიარება პარლამენტის მხრიდან, სამწუხაროდ, არ მოხდა.

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველი აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით დღეს პარლამენტში ადამიანის უფლებათა კომიტეტზე ისაუბრებს.

– ქალთა მიმართ ძალადობის, განსაკუთრებით კი გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების მასშტაბები კვლავ შემაშფოთებელია. სულ რამდენიმე დღის წინ ქმარმა გულ-მკერდის არეში დანით მიყენებული 8 ჭრილობის შედეგად ადგილზე მოკლა ცოლი და ეს არ არის პირველი შემთხვევა, რომლის შესახებაც 2017 წელს შევიტყვეთ.



პრობლემის სიმწვავის მიუხედავად, არ არსებობს სახელმწიფოს ერთიანი ხედვა შემთხვევათა პრევენციის რისკების შეფასების მექანიზმებისა და განმეორებითი ძალადობის შემთხვევათა თავიდან აცილების შესახებ. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ კვლავ არ ხდება დეტალური სტატისტიკური მონაცემების წარმოება, ანალიზი და მათზე დაყრდნობით პრევენციული ღონისძიებების წარმართვა, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

მისივე თქმით, ქალთა მიმართ ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ჯერ კიდევ 2015 წელს მოუწოდა სახელმწიფოებს მიზანმიმართულად იმუშაონ გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების პრევენციაზე, შექმნან ფემიციდის შემთხვევებზე ეფექტიანი ზედამხედველობის სისტემა, ყოველი წლის 25 ნოემბერს კი წარმოადგინონ შემთხვევათა დეტალური ანალიზი.

უჩა ნანუაშვილის თქმით, სამწუხაროდ, ამ მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა.

– ვაცნობიერებთ რა ფემიციდის, როგორც დანაშაულის სიმძიმესა და უარყოფით გავლენას ქვეყანაში გენდერული თანასწორობის მიღწევისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით, ვიზიარებთ რა გარემოს სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაციას, ვაცხადებთ, რომ სახალხო დამცველი იქნება ის ინსტიტუტი, რომელიც მონიტორინგს გაუწევს ქალთა გენდერული ნიშნით მოტივირებული მკვლელობის, მკვლელობის მცდელობის და თვითმკვლელობამდე მიყვანის ყველა შემთხვევას მისთვის კანონით მინიჭებული მანდატის ფარგლებში, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

უჩა ნანუაშვილს ფემიციდის შემთხვევებზე ზედამხედველობის განხორციელებისას სახელმწიფო არასამთავრობო და უფლებადამცველ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის მოლოდინი აქვს.

# აღსრულების ეროვნული ბიუროს ეზოში მომხდარი მკვლელობისათვის ბრალდებულს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა



თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა აღსრულების ეროვნული ბიუროს ავტოსადგომზე მომხდარი მკვლელობის ფაქტზე.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის საქალაქო სასამართლოდან აცნობეს, შურისძიების მოტივით ჩადენილი არჩილ მ.-ს მკვლელობისათვის ბრალდებულ ავთანდილ ა.-ს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. ავთანდილ ა.-ს ბრალად ედებოდა განზრახ მკვლელობა.

– სასამართლომ სხდომებზე გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული სტანდარტით, ბრალდებული ავთანდილ ა. დამნაშავედ ცნო მის მიმართ ბრალად წარდგენილ დანაშაულში და 12 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, – ნათქვამია საქალაქო სასამართლოს განცხადებაში.

აღნიშნული განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

მკვლელობა აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან 18 ივლისს მოხდა. ორმხრივი სროლის შედეგად ერთი პირი გარდაიცვალა.

# სამეგრელოში 90 წლამდე მამაკაცს სასტიკად გაუსწორდნენ



თეკლათში 90 წლამდე მოხუცს თავს დაესხნენ. ალექსანდრე ადამიას ყბა-სახის დაზიანების გამო ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა. როგორც „ნიუპოსტს“ დაშავებულის ახლობლებმა განუცხადეს, მარტოხელა მამაკაცს 2 ნიღბიანი მამაკაცი გვიან ღამით დაესხა თავს და 80 ლარამდე თანხა წაართვა.

ახლობლის თქმით, დაშავებული მომხდარს პირად ანგარიშსწორებას უკავშირებს, თუმცა დამატებით დეტალებზე არ საუბრობს.

„ნიუპოსტი“ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუკავშირდა. უწყების ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ძარცვას გულისხმობს.

შს სამინისტროში ამბობენ, რომ საგამოძიებო ღონისძიებები აქტიურად მიმდინარეობს.

# თელავში ქმარმა ცოლი დაჭრა

თელავში ქმარმა ცოლი დაჭრა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ქმარი ცხელ კვალზე დააკავეს.

საქმეზე გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 19-108 მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

არსებული ინფორმაციით, შემთხვევამდე მეუღლეებს შორის ურთიერთშელაპარაკება მოხდა. დაშავებულის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

# წალენჯიხის ბაგა-ბაღებს იაფფასიან კარაქს აწვდიდნენ

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენებისა და თაღლითობის ჩადენის ფაქტზე ორი ინდივიდუალური მეწარმე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ აღნიშნულ მეწარმეებს, ელექტრონულ ტენდერში გამარჯვების საფუძველზე ვალდებულება ჰქონდათ, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაგა-ბაღები მოემარაგებინათ უმაღლესი ხარისხის კარაქით.

– ბრალდებულებმა შემოსავლის გაზრდისა და დანახარჯის შემცირების მიზნით, რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დარღვევით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ათეულობით საბავშვო ბაგა – ბაღს უმაღლესი ხარისხის კარაქის ნაცვლად, ეტაპობრივად მიაწოდეს იაფფასიანი მცენარეული ცხიმებისაგან დამზადებული სპრედი, რა გზითაც მოტყუებით დაეუფლნენ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის კუთვნილ, დიდი ოდენობით თანხებს, – ნათქვამია განცხადებაში.

საქმეზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის პირველი ნაწილით და 180-ე მუხლის მე – 2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე.

# ავარია ხობში — არიან დაშავებულები

ხობის რაიონის სოფელ ხეთაში მომხდარი ავარიის შედეგად რამდენიმე ადამიანი დაშავდა. 2 ადამიანს ოპერაციას ამ წუთებში უკეთებენ.

თვითმხილველების ინფორმაციით ერთმანეთს „ფორდის“ მარკის სამარშრუტო მიკროავტობუსი და „მერსედესის“ მარკის მსუბუქი ავტომობილი შეეჯახნენ.

შსს-ს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

# ზუგდიდში მამაკაცი ქურდობის დროს დააკავეს




ზუგდიდში, სოხუმის ქუჩაზე, მამაკაცი ერთ-ერთი სახლის გაქურდვისას დააკავეს.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, დანაშაულის ადგილიდან ამოღებულია ნაქურდალი ნივთები. მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით არის აღძრული.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ტრამპი: რუსეთი ძლიერია, მაგრამ ამერიკა ძალიან ძლიერია!

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ნატოს გენერალურ მდივან სტოლტენბერგს შეხვდა. საუბარი რუსეთ-დასავლეთს შორის გართულებულ ურთიერთობებს შეეხო. ტრამპმა განაცხადა, რომ ნატო მოძველებული ბლოკი სულაც არ არის. უბრალოდ, აუცილებელია მისი კიდევ უფრო გაძლიერება. აშშ-ც ყველაფერს გააკეთებს, რათა ეს მოხდეს.

– რუსეთი ძლიერი სახელმწიფოა, მაგრამ ამერიკა ძალიან ძლიერია! ამიტომაც ჩვენი გამარჯვება გარდაუვალია! – ამბობს ტრამპი.



# ჩინეთმა რუსეთს მხარი არ დაუჭირა



გაეროს უშიშროების საბჭომ სირიაში შექმნილი მდგომარეობა განიხილა. უშიშროების საბჭოს წევრთა უმრავლესობამ აშშ-ის მიერ მომზადებულ რეზოლუციას მხარი დაუჭირა. რუსეთი აბსოლუტურ იზოლაციაში აღმოჩნდა. მოსკოვმაც ვეტოს უფლება გამოიყენა.

აღსანიშნავია, რომ ჩინეთმა კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავი შეიკავა.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა შონ სპეისერმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმას, რომ ჩინეთის პოზიცია ამერიკული დიპლომატიის, კერძოდ კი ტრამპის ძალისხმევის შედეგია.

– ის, რაც მოხდა, ტრამპის უდიდესი გამარჯვებაა, – ამბობს სპეისერი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# უკრაინული არმია საბრძოლოდ მზად არის



რუსეთ-უკრაინის საზღვრებთან რუსული არმიის კონცენტრაცია გრძელდება. ასევე გრძელდება დონბასში როგორც სამხედრო ტექნიკის, აგრეთვე რუსი ჯარისკაცების გადასხმაც.

უკრაინის დაზვერვის ინფორმაციით, არსებობს საფრთხე, რომ რუსეთმა ბელარუსის ტერიტორიაც გამოიყენოს და უკრაინას იქიდანაც დაარტყას.

– რუსები შეეცდებიან, დონბასში მდგომარეობა განიმტკიცონ, კერძოდ, განდევნონ ჩვენი ფორმირებები დონეცლუგანსკის გარეუბნიდან და მაქსიმალურად დიდი ტერიტორია დაიკავონ. ამის შემდეგ უკრაინის დანარჩენ რეგიონებში ანტიუკრაინული სეპარატისტული გამოსვლები უნდა დაიწყოს, – ამბობენ უკრაინელი მზვერავები.

რადიო „თავისუფლების“ ყოფილი კორესპონდენტი, ამჟამად კი პუტინის მეხოტბე ანდრეი ბაბიცკი მიიჩნევს, რომ რუსეთ-აშშ-ის დაპირისპირების ზრდამ მესამე მსოფლიო ომის საფრთხე წარმოქმნა. დაპირისპირების ზრდის ერთ-ერთი ფაქტორი უკრაინაც არის, რომელიც დასავლეთისკენ მიისწრაფვის. ბაბიცკი, ისევე, როგორც სხვა რუსი პროპაგანდისტები, ამტკიცებს, რომ უკრაინის აღმოსავლეთ-სამხრეთ რეგიონებს არა დასავლეთთან, არამედ რუსეთთან ინტეგრაცია სურთ.

– გამომდინარე ზემოთქმულიდან, უკრაინის გაყოფა, ისევე, როგორც თავის დროზე კორეა გაიყვეს, მშვიდობის აღდგენის ფაქტორია. ასეც მოხდება, – აცხადებს ბაბიცკი.

უკრაინის პრეზიდენტმა პოროშენკომ თავის ტელეგამოსვლაში აღნიშნა, რომ უკრაინული არმია სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია მოყვანილი. სპეცსამსახურები სიტუაციას სრულად ფლობენ და სეპარატისტების გააქტიურებას არ დაუშვებენ.

– მტრებს საკადრის პასუხს გავცემთ, – თქვა პოროშენკომ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ახალზელანდიელები პრემიერის პიცამ აღაშფოთა

ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრის ბილ ინგლიშის კულინარიულმა გემოვნებამ, რომელმაც აღიარა, რომ უყვარს პიცა სპაგეტით და ანანასით, არაერთგვარი რეაქცია გამოიწვია ქვეყნის მცხოვრებთა შორის.



56 წლის პოლიტიკოსმა ფეისბუქში გამოაქვეყნა კერძის ფოტო, რომელიც მან თავად მოუმზადა საკუთარ ოჯახს. ფოტოსურათმა 10 ათასზე მეტი მოწონება და ათასობით კომენტარი მიიღო. მრავალმა ინტერნეტმომხმარებელმა არ მოიწონა პრემიერის ამგვარი არჩევანი.

– მაპატიე, ბილ, მაგრამ ადამიანი, რომელიც სპაგეტს პიცას ადებს, სახელმწიფოს მმართველად არ გამოდგება, – დაწერა ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა.

– შემდგომ არჩევნებზე ჩემი ხმის იმედი აღარ გქონდეთ, – დაწერა კომენტარში მეორემ.

ახალი ზელანდიის პრემიერის გემოვნებით უკმაყოფილოებს მხარი აუბა ტელეწამყვანმა ჯიმი კიმელმა.

– ვფიქრობ, რომ მან ახლახან ომი გამოუცხადა იტალიას, – იხუმრა მან, – და შესაძლოა ჰავაისაც, დარწმუნებული არ ვარ.

# ავსტრალიელი რეპერი რესტორნიდან ფულის გადაუხდელად გაიქცა



ავსტრალიელი რეპერი ტერი პეკი, რომელიც სცენაზე 2პეკის ფსევდონიმით გამოდის, სასამართლოს წინაშე ქურდობისა და პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით წარდგა. ის მას შემდეგ დააკავეს, როდესაც რესტორნიდან ფულის გადაუხდელად გაიქცა.

ინციდენტი ქალაქ გოლდ-კოსტში მოხდა, რომელიც ავსტრალიის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს. 33 წლის პეკი ზღვის სანაპიროზე მდებარე რესტორანში სადილობდა, სადაც მან შეუკვეთა ორი ომარი, რვაფეხა, 21 კოქტეილი მოლუსკითა და არყით და რამდენიმე ბოთლი ლუდი. ამ ყველაფრისთვის მას 460 დოლარი უნდა გადაეხადა. სადილობის დასრულების შემდეგ მუსიკოსმა დაწესებულება ისე დატოვა, ფული რომ არ გადაეხადა და გამოდევნებული რესტორნის თანამშრომლებისგან თავი დაეღწია, ზღვაში გადახტა და მეინ-ბიჩის პლაჟისკენ გაცურა.

მაშველებმა, რომლებიც რეპერს მისდევდნენ, მისი წყლიდან ამოყვანა ვერ შეძლეს და შემთხვევის ადგილზე საზღვაო პოლიცია მივიდა. პეკი შეეცადა მიმალულიყო და ამისთვის წყალში ჩაყვინთა, მაგრამ მისმა მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო.

რეპერი დააკავეს. სასამართლომ ის გირაოს გადახდის შემდეგ დროებით გაათავისუფლა. მისი საქმის სასამართლო განხილვა 4 მაისს შედგება და ამ ხნის მანძილზე რეპერს ქალაქის დატოვება ეკრძალება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# გორდონ რამზი შვილებისთვის მემკვიდრეობის დატოვებას არ აპირებს



ბრიტანელმა შეფმზარეულმა და ტელეწამყვანმა გორდონ რამზიმ ერთ-ერთ ბრიტანულ გამოცემასთან ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი ოთხი შვილი მის მიერ გამომუშავებულ ას მილიონ დოლარს მემკვიდრეობით ვერ მიიღებს.

– მათ ის (მემკვიდრეობა) ნამდვილად არ შეხვდებათ და არა იმიტომ, რომ მე ასეთი ბოროტი ვარ, არამედ იმიტომ, რომ არ მინდა, გაირყვნნენ. მე და ჩემი მეუღლე შევთანხმდით, რომ ისინი დეპოზიტის 25 პროცენტს მიიღებენ, მაგრამ არა მთელ დეპოზიტს, – განაცხადა 50 წლის რამზიმ საკუთარ ფინანსურ გეგმებთან დაკავშირებით, რომელიც მისი 15 წლის მატილდას, 17 წლის ჯეკსა და ჰოლის და 18 წლის მეგანს შეეხება.

ცნობილმა შეფმზარეულმა ასევე აღნიშნა, რომ მისთვის ფული მთავარი არ არის და ყოველთვის ცდილობდა, შვილები ისე აღეზარდა, მერკანტილურები არ გამოსულიყვნენ. რამზიმ აღიარა, რომ მათ ფუფუნებით არ ანებივრებს, რომელიც თავად მისთვის ხელმისაწვდომია. მაგალითად, შვილები მასთან და დედასთან ერთად პირველი კლასით არ დაფრინავენ.

გორდონმა ასევე აღიარა, რომ იშვიათად დაჰყავს შვილები თავის რესტორნებში. მისი თქმით, ის თავის უფროს სტუდენტ ქალიშვილს კვირაში ხარჯებისთვის 100 ფუნტ სტერლინგს (124 დოლარი) აძლევს. ყველა ბავშვმა თავად უნდა გამოიმუშაოს თანხა საკუთარი მობილური ტელეფონის ხარჯებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობისთვის.

# მალალა იუსუფაი გაეროს ყველაზე ახალგაზრდა მშვიდობის ელჩი გახდა

პაკისტანელი უფლებადამცველი და ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი მალალა იუსუფაი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მშვიდობის ელჩი გახდა.

19 წლის იუსუფაი მშვიდობის ელჩად გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიუ გუტერეშმა დანიშნა და საზეიმო ცერემონიის დროს პაკისტანელ გოგონას გმირი უწოდა, ასევე – ერთგული და სულგრძელი ადამიანი.



მალალამ თავის საპასუხო სიტყვაში ხაზი გაუსვა განათლების მნიშვნელობას.

– ექსტრემისტები ცდილობდნენ, ყველაფერი გაეკეთებინათ ჩემს შესაჩერებლად. ისინი ჩემს მოკვლას შეეცადნენ, მაგრამ ვერ მოახერხეს, – აღნიშნა იუსუფაიმ.

პაკისტანელი გოგონა მსოფლიომ 2009 წელს 11 წლის ასაკში გაიცნო, როდესაც ბი-ბი-სისთვის გვერდი მიჰყავდა პაკისტანის პროვინცია ხაიბერ-პახტუნხვას ცხოვრების თაობაზე. კერძოდ, მასში ის ყვებოდა, თუ როგორ უკრძალავდნენ თალიბები სწავლას გოგონებს ამ რეგიონში ხელისუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ.

2012 წლის ოქტომბერში გოგონა თავში დაჭრეს „ტეხრიკ-ი-თალიბანის“ მებრძოლებმა. ექიმებმა გოგონასთვის სიცოცხლის შენარჩუნება შეძლეს. ხელისუფლება გოგონასა და მის ოჯახს ლონდონში გადასვლაში დაეხმარა, რათა მკურნალობის კურსი გაეგრძელებინა. ოჯახი საბოლოოდ ლონდონში დარჩა, თალიბანის მებრძოლები კი სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში მასზე ახალი თავდასხმის განხორციელებით იმუქრებოდნენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

## გთავაზობთ სამსახურს

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.
- სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 280 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

## მკურნალობა

- პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ სქესობრივ უძლურებას; სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, მამაკაცებში მკურნალობაში ვიყენებთ სათანადო აპარატურასა და სქესობრივი კავშირის დასამყარებელ საიმედო „ერექტორებს“. კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ცენტურიონი რონალდუ და მბაპეს ბენეფისი

გაიმართა ჩემპიონთა ლიგის 3 მეოთხედფინალური მატჩი.

**ბაიერნი-რეალი 1:2**
**მიუნხენი. ალიანს არენა**
**1:0 ვიდალი (25), 1:1, 1:2 რონალდუ (47, 77)**

45-ე წუთზე არტურო ვიდალმა პენალტი ვერ გამოიყენა (ააცილა)

**ბაიერნი:** ნოიერი, ბოატენგი, ალაბა, ლამი, ხავი მარტინესი, რიბერი (დუგლას კოსტა 65), ვიდალი, ტიაგო, ხაბი ალონსო (ბერნატი 64), რობენი, მიულერი (კომანი 81)

**რეალი:** ნავასი, ნაჩო, კარვახალი, მარსელო, რამოსი, მოდრიჩი (კოვაჩიჩი 90), კროოსი, კაზემირო, ბეილი (ასენსიო 59), რონალდუ, ბენზემა (ხამესი 83)

**გაძევება:** ხავი მარტინესი (61)

მიუხედავად იმისა, რომ მატჩი მადრიდელთათვის არცთუ სასიამოვნოდ დაიწყო, ზინედინ ზიდანის გუნდმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ტიტულის დასაცავად. საწყისი წნეხის შემდეგ პირველი გოლის გატანა მადრიდელებს მართებდათ, მაგრამ ბენზემას დარტყმული ბურთი ნოიერმა და ხარიხამ მოიგერია.

მადრიდელთა სუსტ წერტილად დაცვის ცენტრი მოჩანდა და სწორედ ამით ისარგებლა ბაიერნმაც – ვიდალმა კუთხურის შემდეგ ნაჩოს დაასწრო და მძლავრი თავური დარტყმით ანგარიში გახსნა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ მომენტში ვერ ნავასი გაისარჯა რიგიანად.

ვიდალს პირველი ტაიმში შეეძლო დუბლი შეესრულებინა და მატჩის ბედი სხვაგვარად დაეტრიალებინა, მაგრამ 11 მეტრიდან ბურთი ჰაერში გაგზავნა. არც პენალტის დანიშვნა იყო სამართლიანი, რადგან მსაჯები აშკარად შეცდნენ, მაგრამ ეს ჩილელი ფეხბურთელის შესრულებას არ ამართლებს.

ამ აცილებული პენალტისგან მიღებულ შოკს შესვენებამ მოუსწრო, მაგრამ ანტრაქტის შემდეგ რონალდუმ ცივი შხაპი გადაასხა მასპინძლებს, როდესაც კარვახალის ჩაწოდების შემდეგ დასწრებაზე ითამაშა და ნოიერს გაუტანა.

მეორე ტაიმის ცენტრში უკვე რეალი დაეუფლა უპირატესობას და მოედანზე თავს გაცილებით კომფორტულად გრძნობდა. ასეთი მიმდინარეობის ლოგიკური გაგრძელება იყო, რომ ჯერ ხავი მარტინესი გააძევეს, შემდეგ კი რონალდუმ მეორეც გაიტანა, როდესაც ისევ დაასწრო მცველებს.

რონალდუსთვის ეს გამოდგა მე-100 გოლი ევროტურნირებზე და ამ მხრივ პირველი ცენტურიონი გახდა.

ბაიერნი კი რთულ მდგომარეობაშია. ახლა მადრიდში მინიმუმ 2 გოლის გატანა სჭირდება, სანტიაგო ბერნაბეუზე კი ზიდანის შეგირდებიც ყოჩაღად გამოიყურებიან. მოკლედ, დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – კრიშტიანუ რონალდუ

თითქოს არაფერს აკეთებს მოედანზე, მაგრამ სწორედ საჭირო დროს იცის თავის გამოჩენა. გამოიყენა 2 უმნიშვნელოვანესი მომენტი, რაც შესაძლოა, გადამწყვეტიც კი აღმოჩნდეს. გოლების გარდა, მარტინესის გაძევებაც მის აქტიურობას მოჰყვა.

**დორტმუნდი-მონაკო 2:3**
**დორტმუნდი. სიგნალ იდუნა პარკი**
**0:1 მბაპე (19), 0:2 ბენდერი (35ა), 1:2 დემბელე (57), 1:3 მბაპე (79), 2:3 კაგავა (84)**

მე-17 წუთზე ფაბინიომ პენალტი ვერ გამოიყენა (ააცილა)



**დორტმუნდი:** ბურკი, პიშჩეკი, შმელცერი (შაჰინი 46), გინტერი, პაპასტატოპულოსი, გერეირო, ბენდერი (პულიშიჩი 46), ვაიგლი, კაგავა, დემბელე, ობამეიანგი

**მონაკო:** სუბაშიჩი, ტურე, რაჯი, ფაბინიო, გლიკი, ჟემერსონი, სილვა (დირარი 66), მოუტინიუ, ლემარი, მბაპე, ფალკაო (ჟერმენი 85)

შესაძლოა, წინა დღეს ავტობუსთან მომხდარი აფეთქების გამო იყო, მაგრამ ფაქტია, დორტმუნდის ფეხბურთელები თავიანთ თავს არ ჰგავდნენ. მიუხედავად ამისა, ეს მონაკოს კარგ თამაშს არ აკნინებს – მონეგასკებმა ჩინებულად ითამაშეს და შინ სერიოზული უპირატესობით დაუხვდებიან მეტოქეს..

დორტმუნდელთა ბურთის ფლობა საერთოდ არ აინტერესებდა მონაკოს. პირველ ტაიმში საოცრად იყენებდნენ ნებისმიერ შესაძლებლობას, გარდა ერთისა, როდესაც ფაბიანომ პენალტი კარს ააცილა. თუმცა, კილიამ მბაპემ მაინც გახსნა ანგარიში, ხოლო სვენ ბენდერის ავტოგოლი სრული შოკი იყო მაყურებლისთვის.

მე-2 ტაიმში დორტმუნდმა შეძლო თამაშში დაბრუნება. იყო მომენტი, როდესაც მონაკომ დაკარგა კონცენტრაცია, მაგრამ ამ მონაკვეთში თავადებმა მხოლოდ ერთი გაუშვეს. თითქოს ეს ერთი გოლი საკმარისი იყოო და გერმანულმა გუნდმა შეტევები გადაიფიქრა და დაისაჯა კიდეც – მბაპემ დუბლი შეასრულა.

და კვლავ გამოფხიზლდა დორტმუნდი, რასაც კაგავას გოლი მოჰყვა, თუმცა ნახევარფინალისკენ გაცილებით დიდი ნაბიჯი მონაკომ გადადგა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – კილიამ მბაპე

ახალგაზრდა ფრანგი შემტევი სულ უფრო და უფრო იმატებს ფასს. ახლა უკვე ადვილი წარმოსადგენია, როგორი ომი გაჩაღდება მის შესაძენად სატრანსფერო ბაზარზე. დორტმუნდელებთანაც დიდებულად ითამაშა – გამოიმუშავა პენალტი, გაიტანა 2 გოლი... მოკლედ, ყველაფერი გააკეთა მონაკოს რომ მოეგო.

**ატლეტიკო-ლესტერი 1:0**
**მადრიდი. ვისენტე კალდერონი**
**1:0 გრიზმანი (28პ)**

**ატლეტიკო:** ობლაკი, ხუანფრანი, ფილიპე ლუისი, სავიჩი, გოდინი, გაბი, საული, კოკე, ფერეირა-კარასკო (კორეა 65), გრიზმანი, ტორესი (ტეიე 75)

**ლესტერი:** შმეიხელი, სიმპსონი, ფუკსი, ბენალუანი, ჰუტი, ნდიდი, დრინკუოტერი, ოლბრაიტონი, მარეზი, ვარდი (სლიმანი 77), ოკაზაკი (კინგი 46)

ატლეტიკომ მინიმალური ანგარიშით მოუგო ლესტერს და მცირე შანსი დაუტოვა. ვერ ვიტყვით, რომ „მელიები“ გამოთიშავენ ესპანელებს, მაგრამ, ინტრიგა რომ დარჩა, ფაქტია.

ერთადერთი გოლი „ზოლიანების“ შემტევმა ანტუან გრიზმანმა 11 მეტრიდან გაიტანა. ლესტერის დანიელმა მეკარემ ამჯერად ვერ შეძლო პენალტის მოგერიება. აქაც საეჭვო ჩანდა პენალტი, ბევრის აზრით, ოლბრაიტონმა საჯარიმოს გარეთ წააქცია გრიზმანი.

ასეა თუ ისე, მსაჯის სასტვენმა ატლეტიკოს ერთბურთიანი მოგება დააფიქსირა, ლესტერი კი მორიგი ზღაპრისთვის არის მზად, თუმცა, იმასაც ვიტყვით, რომ ბრიტანულმა გუნდმა უკვე მიაღწია ზღვარს. ერთია, თავად რას ფიქრობენ და როგორ აპირებენ ზღაპრის გაგრძელებას.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ანტუან გრიზმანი

ისეთი მატჩი იყო, 90 წუთი აქტიური არავინ ყოფილა. თუ მხოლოდ საწყისი წუთებით ვიმსჯელებთ, მაშინ ფრანგი შემტევი ყველას სჯობდა. ასევე შეიძლება კოკეს გამოყოფაც.

# კაკტუსმა პლეი ოფი შეავსო

გაიმართა საქართველოს საკალათბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

**დინამო-კაკტუსი 68:74**
**(19:17, 17:21, 16:18, 16:18)**

მატჩს კაკტუსელთათვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. გამარჯვების შემთხვევაში ეს გუნდი პლეი ოფის საგზურს ინაღდებდა და მიზანს მიაღწია კიდეც. სუპერლიგის დებიუტანტმა უძლიერესთა შორის ადგილი არათუ შეინარჩუნა, პერსპექტივა აქვს, წარმატების შემთხვევაში საპრიზო ადგილზეც გავიდეს.



რაც შეეხება დინამოსთან მატჩს, კაკტუსელებმა დაძაბულ ბრძოლაში მოიგეს. დინამოელებს განაცხადში მხოლოდ 8 კალათბურთელი ჰყავდათ. კაკტუსელებმა პირველი პერიოდი 2 ქულით – 17:19 წააგეს, რის შემდეგაც ლიდერობა მოიპოვეს, თუმცა წინ დამაჯერებლად გაჭრას ვერ ახერხებდნენ. მატჩის ბოლო წუთზე დინამოელებმა ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირეს, თუმცა გადამწყვეტ მომენტში კაკტუსელებმა მეტი მობილიზება და სიზუსტე გამოავლინეს და გამარჯვებას მიაღწიეს.

გამარჯვებულებს 20 ქულით ირაკლი ჩლაიძემ ულიდერა. ტერიკ ბრიჯმენმა 17 ქულა და 9 მოხსნა მოაგროვა.

დინამოელთაგან კი 19 ქულით, 10 მოხსნითა და 6 პასით ლევან ფაცაცია გამოირჩა.

**ოლიმპი-სოხუმი 58:68**
**(25:19, 12:13, 8:15, 13:21)**

რეგულარული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ პლეი ოფში ვერგასული გუნდები ერთმანეთში კიდევ 2 წრეს ითამაშებენ, მაგრამ ახლა დაგროვილი ქულები გუნდებს უნარჩუნდებათ და, შესაბამისად, თითოეულ მოგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. პირველი ტაიმის წაგების შემდეგ სოხუმელებმა მობილიზება მოახერხეს და ჯერ მესამე, ხოლო შემდეგ მეოთხე პერიოდების მოგებით საბოლოო გამარჯვება მოიპოვეს – 68:58.

სოხუმელებმა გუნდურად ითამაშეს. ასეთ მწირექულიან მატჩში ერთბაშად 5 სოხუმელი ასცდა 10-ქულიან ზღვარს, რომელთაგან ყველაზე შედეგიანები ოთარ ბულიავა (17 ქულა) და დავით ბარბაქაძე (16) იყვნენ. ორმაგი დუბლი – 11 ქულა და 12 მოხსნა დაგროვდა გიორგი ჯგერენაიას ანგარიშზე.

ოლიმპში 14-14 ქულით რევაზ როგავა და ტრე ბურნეთი გამოირჩნენ.

**მგზავრები-რუსთავი 91:59**
**(18:16, 21:19, 24:19, 28:5)**

სუპერლიგაში დასარჩენად მებრძოლმა მგზავრებმა კიდევ ერთ პლეი ოფში ადგილდაბევებულ გუნდს მოუგო. მგზავრები რუსთავს შეხვდნენ და ბოლო პერიოდში გამოჩენილი შედეგიანობის ხარჯზე დიდი სხვაობით – 91:59 გაიმარჯვეს.

არადა, მატჩი ისეთ ბრძოლაში დაიწყო, ასეთ დასასრულს ალბათ ცოტა თუ წარმოიდგენდა. მგზავრები უმეტესად იგებდნენ, მაგრამ მესამე პერიოდის დასასრულამდე 4-5 ქულაზე მეტით წინ ვერ გავიდნენ. რუსთაველებმა რამდენჯერმე წინ გასვლაც მოახერხეს, მაგრამ მასპინძლებმა მესამე პერიოდი სათავისო ანგარიშით – 63:54 დაასრულეს და გარდატეხაც აქ მოხდა. ბოლო პერიოდში მგზავრებმა 28:5 იმარჯვეს და საბოლოოდ მორიგი გამარჯვება მოიპოვეს, რისი წყალობითაც ბოლო ადგილს თავი დააღწიეს.

გამარჯვებულებს 25 ქულით, 8 მოხსნით და 6 პასით ოთარ ფხაკაძემ ულიდერა. 22 ქულა და 8 მოხსნა მოაგროვა კორი ალენმა, 16 ქულა და 10 მოხსნა დერნელ ტეილორის ანგარიშზე დაგროვდა.

რუსთავში 16 ქულით რევაზ ჩაჩანიძე გამოირჩა, 11 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა სერგო ათუაშვილმა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 26 | 23 | 32259-1846 | 49 |
| 2.ქუთაისი | 26 | 19 | 72094-1958 | 45 |
| 3.რუსთავი | 26 | 13 | 132033-2086 | 39 |
| 4.კაკტუსი | 26 | 12 | 142058-2173 | 38 |
| 5.სოხუმი | 26 | 10 | 162062-2191 | 36 |
| 6.ბათუმი | 26 | 9 | 171994-2095 | 35 |
| 7.მგზავრები | 26 | 9 | 171940-2029 | 35 |
| 8.ოლიმპი | 26 | 9 | 171875-1937 | 34 |

**შენიშვნა:** ოლიმპს დაკლებული აქვს 1 ქულა

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ლოკომოტივმა დილასთან მოგება ხელიდან გაუშვა

გაიმართა საქართველოს საფეხბურთო პირველობის ერთი მატჩი.

**ლოკომოტივი-დილა 3:3**
**თბილისი. მიხეილ მესხი 2**
**0:1 რიბეირო (4), 1:1 გავაშელიშვილი (15), 2:1, 3:1 სიხარულიძე (17, 41), 3:2 რიბეირო (66პ), 3:3 ფლავიო (90)**

**ლოკომოტივი:** ქურდაძე, ჭანტურია, სიხარულიძე, ქავთარაძე (სამურკასოვი 63), გავაშელიშვილი, კიკნაძე (კომახიძე 72), ხიდეშელი, ღონღაძე, რეხვიაშვილი, უბილავა, არდაზიშვილი (ჩიტეიშვილი 83)

**დილა:** ხაინდრავა, მაჩაიძე (ნონიკაშვილი 53), ფოფხაძე, პაპავა, რიბეირო, ტარავალიე (ფლავიო 59), აბუბაკარი, ქარქუზაშვილი, კირკიტაძე, ძარია, მათიაშვილი (გაგოშიძე 67)

ისევ ბარაქიანად ითამაშა ჩემპიონატის ლიდერმა ლოკომოტივმა შეტევაში, მაგრამ ამჯერად, წინა შეხვედრებისგან განსხვავებით, დაცვაში ვერ ივარგა და მხოლოდ ფრეს გამორჩა.

მატჩი გოლუხვი გამოდგა. უკვე მე-4 წუთზე დილას შეტევა გოლით დასრულდა – კირკიტაძემ იაქტიურა, რის შემდეგ ბურთი უმეთვალყურეოდ დარჩენილ რიბეიროს მიუვიდა. მანაც ქურდაძისგან შორეულ კუთხეში მოჭრა – 0:1.

გოლის შემდეგ გორელებს კიდევ შეეძლოთ გატანა, მაგრამ ჯერ ქურდაძემ გადაარჩინა გუნდი, შემდეგ კი ძელმა იხსნა ლოკომოტივი.

გიორგი დევდარიანის გუნდს თითქოს უჭირდა, მაგრამ საქმე 2 წუთში უკვე სათავისოდ შემოატრიალეს. მე-15 წუთზე მოედნის სიღრმიდან არდაზიშვილის პასის შემდეგ გავაშელიშვილმა საჯარიმოში ბურთი მიიღო და კარშიც ზუსტად დაარტყა – 1:1.

მე-17 წუთზე თითქმის ანალოგიური განმეორდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ არდაზიშვილის გრძელი პასის შემდეგ გავაშელიშვილმა ამჯერად სიხარულიძეს გაატანინა – 2:1.

პირველ ტაიმში ლოკომ მესამეც გაიტანა და ავტორად კვლავ სიხარულიძე მოგვევლინა, რომელმაც რკინიგზელთა



ორიგინალურად გათამაშებული კუთხური დაასრულა შედეგიანად – 3:1.

თითქოს ლოკომოტივს მორიგი 3 ქულა უნდა ჩაეწერა, მაგრამ მეორე ტაიმში ვითარება შეიცვალა. შესვენების შემდეგ 2 გოლი გავიდა და ორივე სტუმრებმა გაიტანეს.

დუბლი შეასრულა რიბეირომ, რომელმაც 11 მეტრიდან დაარტყა ზუსტად. პენალტი კი შეცვლაზე შესული დილას შემტევ ფლავიო ნუბიოს წინააღმდეგ წესების დარღვევისთვის დაინიშნა. ფლავიოს ცვლილება მარტო ამით არ გამოდგა გამართლებული – მსაჯის მიერ კომპენსირებული დროის მე-4 წუთზე კირკიტაძემ სტუმართა საჯარიმოში ფლავიო მოძებნა, რომელმაც მახვილი კუთხიდან ანგარიში გაათანაბრა – 3:3.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლოკომოტივი | 7 | 4 | 2 | 1 | 18-7 | 14 |
| 2.დინამო (თბ) | 6 | 4 | 0 | 2 | 7-4 | 12 |
| 3.ჩიხურა | 6 | 3 | 1 | 2 | 7-5 | 10 |
| 4.ტორპედო | 6 | 2 | 3 | 1 | 7-5 | 9 |
| 5.დინამო (ბთ) | 6 | 3 | 0 | 3 | 5-4 | 9 |
| 6.საბურთალო | 6 | 3 | 0 | 3 | 6-8 | 9 |
| 7.დილა | 7 | 1 | 4 | 2 | 7-8 | 7 |
| 8.კოლხეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 9-11 | 7 |
| 9.სამტრედია | 6 | 2 | 1 | 3 | 4-7 | 7 |
| 10.შუქურა | 6 | 0 | 2 | 4 | 5-16 | 2 |

**ბომბარდირები:** ირაკლი სიხარულიძე – 8 ბურთი; მამია გავაშელიშვილი – 6 (ორივე ლოკომოტივი); მიკოლა კოვტალიუკი – 4 (კოლხეთი).

# ფაჩულიამ რეგულარული სეზონი 6–6 ქულითა და მოხსნით დახურა

ზაზა ფაჩულიას გოლდენ სტეიტმა ნაციონალური საკალათბურთო ლიგის რეგულარული ჩემპიონატი ლეიკერსის ძლევითა და პირველ ადგილზე დაასრულა. ოკლენდელებმა რეგულარული სეზონის ბოლო დღეს თანაშტატელ გუნდს უმასპინძლეს და 109:94 სძლიეს.

ჯამში, გოლდენ სტეიტმა 82-დან 67 მატჩი მოიგო და როგორც დასავლეთ კონფერენციაში, ისე მთელ ლიგაში პირველი ადგილი დაიკავა და პლეი ოფის ნებისმიერ სტადიაზე მოედნის უპირატესობა მოიპოვა.

საჩემპიონო ამბიციების მქონე ოკლენდური გუნდისთვის არანაკლებ სასიხარულოა მათი ლიდერის კევინ დიურანტის გამოჯანმრთელება, რომელმაც ტრავმის გამო 40 დღე გამოტოვა და მოედანზე დაბრუნების 3 მატჩის თავზე ჩინებულ ფორმაშია.

დიურანტმა გასულ 2 მატჩში ორმაგი დუბლები შეასრულა. ამჯერად ამ შედეგამდე 2 მოხსნა დააკლდა, თუმცა ბომბარდირული თვისებები გამოავლინა და 27 წუთში 29 ქულა (8 მოხსნა, 5 პასი) მოაგროვა.

სასტარტო ხუთეულში მყოფმა ზაზა ფაჩულიამ 12 წუთი ითამაშა და 6 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი და 1 დაფარება მიითვალა. ზაზამ 3-დან 2 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგო, 1 სამიანი კი ააცილა.

გოლდენ სტეიტის მეტოქე პლეი ოფის პირველ რაუნდში დასავლეთ კონფერენციაში მე-8 ადგილზე გასული პორტლენდი იქნება. სერია 4 მოგებამდეა და 17 აპრილს ოკლენდში დაიწყება.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# რა არის საფენის დერმატიტი

ეკა ირემაშვილი

საფენის დერმატიტი ჩვილებსა და ადრეული ასაკის ბავშვებში ვითარდება კანის საფენთან კონტაქტის დროს. ის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი კლინიკური გამოვლინებაა, რომელიც 15-18 პროცენტში გვხვდება.

პედიატრ თემურ მიქელაძის თქმით, ასეთ დროს კანის დაზიანების მიზეზებია: დამატენიანებლის ჭარბად მოხმარება, ხახუნი, მაცერაცია, მაღალი პე ჰაშ გარემო და ახალშობილებში განავლის მაღალი ფერმენტული აქტივობა. საფენში შარდისა და განავლოვანი მასების ერთობლიობით იზრდება ტენიანობა, იმატებს ოკლუზიური ეფექტი, რაც, შესაბამისად, იწვევს კანის მაცერაციასა და ეპიდერმისის რქოვანა შრის დაზიანებას. იზრდება ქიმიური გამაღიზიანებლებისა და მიკრობული აგენტების შეღწევადობა. ფეკალური ბაქტერია გამოყოფს ფერმენტ ურეაზას და შარდთან ურთიერთქმედების შემდეგ საფენის ქვეშ ხდება პე ჰაშის დონის მატება. განავლოვანი ფერმენტების აქტივობით იცვლება კანის მიკრობიოტა, რაც ანთებით დაზიანებულ მიდამოებზე იწვევს ეპიდერმისსა და განავალში არსებული მიკრობების კოლონიზაციას.

რა არის საფენის დერმატიტი, რა რისკფაქტორებთან არის დაკავშირებული ეს დაავადება და როგორია მისი მკურნალობის მეთოდები? – ამ თემებზე პედიატრი თემურ მიქელაძე საუბრობს.

**თემურ მიქელაძე:**

– საფენის დერმატიტის დროს რამდენიმე



რისკფაქტორი არსებობს: ჩვილებში ფუნქციური დიარეა, კანის მუდმივი გაღიზიანების გამო, ლოკალურად ზრდის საფენის დერმატიტის განვითარების რისკს. ხელოვნურ კვებაზე მყოფ ბავშვებს საფენთან კონტაქტურ უბნებში უფრო მაღალი პე ჰაში დონე აქვთ და კიდევ ერთი – ანტიბიოტიკების არარაციონალური და ხანგრძლივი დროით გამოყენება.

***– რა არის აუცილებელი საფენის დერმატიტის დიაგნოსტირებისთვის?***

– საფენის დერმატიტი შეგვიძლია დავყოთ მსუბუქი, საშუალო და მძიმე სახის ფორმად.

მსუბუქი – ეს არის ცალკეული ერითემატოზური პაპულები ან მსუბუქი ასიმპტომური ერითემა კანის ზედაპირის მცირე უბნებზე, მინიმალური მაცერაციითა და დაზიანებებით.

საშუალო – უფრო ფართო ერითემა, მაცერაციითა და ზედაპირული ეროზიებით.

მძიმე საფენის დერმატიტი ხასიათდება დიდი ატროფიული ერითემით, მტკივნეული ეროზიებით, პაპულებითა და კვანძებით. ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროა დიფერენცირება: კალიუმის ჰიდროქსიდით პრეპარირება სოკოს დიაგნოსტირებისათვის, მუნის დასადგენად მინერალური ზეთებით მიკროსკოპული პრეპარირება და გახანგრძლივებულ ვირუსულ ინფექციებზე ეჭვის დროს დაზიანებული კანის ვირუსოლოგიური კვლევა.

***– როგორ უნდა ვმართოთ საფენის დერმატიტი?***

– საფენის დერმატიტის მართვა მოიცავს კანის მოვლის ზოგად პრინციპებს: საფენის ხშირი ცვლა, ჰაერისა და მზის აბაზანები, კანის ნაზი გასუფთავება, საფენის სწორი და ზუსტი ზომის შერჩევა. დე3 ვიტამინის რეგულარული მიღება, უალკოჰოლო და არაპარფიუმშემცველი საშუალებების გამოყენება. სასურველია, რომ საფენის მიდამო გასუფთავდეს თბილი წყლითა და ფიზიოლოგიური პე ჰაში-ის შემცველი საშუალებებით.

რაც შეეხება ბავშვისთვის საუკეთესო საფენის შერჩევას, ეს სადავო საკითხია. ადსორბირებადი გელის შემცველობის მიუხედავად, არ არსებობს კვლევა, რომელიც დაადასტურებს, რომ საფენის გამოყენება ან სახეობა დაიცავს ბავშვს საფენის დერმატიტისგან.

# მოზარდ მაყურებელთა თეატრი 90 წლისაა

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო პროფესიული თეატრი იუბილარია. წელს თეატრი 90 წლის იუბილეს ბორჯომში „თეატრალური დღეების“ ფარგლებში აღნიშნავს.

მოზარდ მაყურებელთა თეატრი 18 აპრილიდან მომავალი წლის 11 ნოემბრამდე იუბილეს ფარგლებში მაყურებელს სხვადასხვა აქტივობას შესთავაზებს.

18 აპრილს თეატრის დასის ნაწილი ბორჯომს ეწვევა, სადაც ბორჯომის „თეატრალური დღეები“ იუბილარი თეატრის წარმოდგენით „აურზაური არაფრის გამო“ გაიხსნება. სპექტაკლი, რომლის რეჟისორიც დიმიტრი ხვთისიაშვილია, ბორჯომის კულტურის სახლში გაიმართება.

მოზარდ მაყურებელთა თეატრი 90-წლიანი ისტორიის განმავლობაში ერთადერთი და უნიკალურია საქართველოში არსებულ თეატრებს შორის. აღმზრდელობით-შემეცნებითი ფუნქციის მატარებელი ორენოვანი დასი (ქართული და რუსული) აუდიტორიისთვის შესაშური დატვირთვით მუშაობს.

თბილისში 1927 წლის 18 აპრილს ნიკოლოზ მარშაკმა საფუძველი ჩაუყარა მოზარდ მაყურებელთა თეატრის რუსულ დასს, რომელმაც თავისი პირველი წარმოდგენა „ჰაიავატა“ გამართა. ნიკოლოზ მარშაკის სახელს უკავშირდება მუშთაიდის ბაღში დღემდე არსებული ამიერკავკასიაში პირველი საბავშვო რკინიგზის დაფუძნება. რუსულ დასთან თანამშრომლობდნენ ცნობილი ხელოვანები, რეჟისორი გიორგი ტოვსტონოგოვი, მსახიობი ლებედევი, კომპოზიტორი და პოეტი ბულატ ოკუჯავა... რუსული დასის დაარსებიდან ერთი წლის შემდეგ, 1928 წლის 11 ნოემბერს, დაარსდა ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრი რეჟისორ ალექსანდრე თაყაიშვილის თაოსნობით. პირველი წარმოდგენა გახლდათ საცის „ბრიც ბაუერი“. თეატრთან სხვადასხვა დროს აქტიურად თანამშრომლობდნენ ცნობილი მხატვრები ელენე ახვლედიანი, სოლიკო ვირსალაძე, პეტრე ოცხელი, იოსებ სუმბათაშვილი, ნიკა ყაზბეგი, ფარნაოზ ლაპიაშვილი, მამია მალაზონია, მურაზ მურვანიძე, გოგი ალექსი-მესხიშვილი, თემურ ნინუა, აივენგო ჭელიძე... მათი ესკიზები, რომლებსაც ეროვნული ძეგლის სტატუსი აქვთ მინიჭებული, მოზარდ მაყურებელთა თეატრის ფოიეშია გამოფენილი.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

საზოგადოება

# „ნოდარ მგალობლიშვილმა ყველას შემოგითვალათ, რომ მოვკვდები, მერე ილაპარაკეთ და მერე ააგორეთ სკანდალიო!“



მსახიობ ნოდარ მგალობლიშვილის მიერ მარჯანიშვილის თეატრის დატოვების შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია გავრცელდა – საზოგადოების ნაწილი ამტკიცებდა, რომ მსახიობმა მარჯანიშვილის თეატრი დატოვა, მეორე ნაწილი კი ირწმუნებოდა, რომ ნოდარ მგალობლიშვილი თეატრიდან არ წასულა.

მსახიობის ფოტოალბომზე მომუშავე ნანა ჭრელაშვილმა ამ საკითხთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა:

– ნოდარ მგალობლიშვილმა თეატრი დატოვა! დიახ, დატოვა! არა იურიდიულად, არამედ მორალურად! დატოვა იმიტომ, რომ არაპირდაპირ, კულტურულად უთხრეს, ნოდარ მგალობლიშვილის არსებობა ამ დასში 240 ლარზე მეტი აღარ ღირსო. დიახ, ეს უთხრეს კაცს, რომელსაც არასოდეს გაუცვლია ღირსება არც დიდებაში, არც ფულში, მსახიობს, რომელიც დიდი თეატრალური ეპოქის უმნიშვნელოვანესი ფიგურა გახლდათ!

უფრო მეტიც, 85 წლის იუბილემ ისე ჩაიარა, მერიის კულტურის სამსახურის გარდა, რომელმაც საპატიო თბილისელის წოდება მიანიჭა, არავის გახსენებია. უფრო მეტიც, მე თქვენს მონა-მორჩილს, ორი წელია, ქალამნები შემომაცვდა ნოდარ მგალობლიშვილის ბიოგრაფიული ფოტოალბომის დაფინანსების ძიებაში!

უფრო მეტიც, მიხელ გიორგაძემ კულტურის სამინისტროს წინ მდგარ ნოდარ მგალობლიშვილს ისე ჩაუარა, სალამიც არ გაიმეტა მისთვის! ალბათ, სალამი ბიუჯეტში არ იყო გაწერილი! მოკითხვასა და ღიმილზე აღარ ვსაუბრობ!

ბატონი ნოდარი პირველი წუთიდანვე გეგმავდა თეატრიდან წამოსვლას, მაგრამ ამ ისტორიას თან დაერთო მისი ავადმყოფობა და ქირურგიული ოპერაცია. ამ ეტაპზე ის გადის რეაბილიტაციას, არის ძალიან სუსტად! მისი პასუხიც, რომ წამოვიდა თეატრიდან, მის მორალურ განწყობას პასუხობდა!

თეატრისა და კულტურის სამინისტროს მხრიდან გაკეთებული განცხადებები, რომ ის იურიდიულად ისევ თეატრშია, ცვლის მათ დამოკიდებულებას? მათ გადაწყვეტილებებს რამე გამართლებას აძლევს?!

დაასრულეთ ამ თემაზე საუბარი!!!

მიჭირს მისი სიტყვების გამეორება, მაგრამ... „მადროვეთ სიკვდილი!“

ნოდარ მგალობლიშვილის მეუღლე ნინო ჩხიკვიშვილი კი მოკლე კომენტარით შემოიფარგლა:

– ნოდარ მგალობლიშვილმა ყველას შემოგითვალათ, რომ მოვკვდები, მერე ილაპარაკეთ და მერე ააგორეთ სკანდალიო!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ასტროპროგნოზი

14 აპრილისათვის



**ვერძი** – თავი შეიკავეთ საქმიანი მოლაპარაკებებისაგან. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კურო** – სასიცოცხლო პოტენციალი უმაღლეს დონეზეა. პირად ცხოვრებაში სასიამოვნო ცვლილებებია მოსალოდნელი. **ტყუპები** – დაძაბული დღეა. იფრთხილეთ ყველგან. ერიდეთ კამათს. **კირჩხიბი** – ხელმძღვანელ პირებთან, საჯარო მოხელეებთან ურთიერთობისათვის შესაფერისი დღეა. ყოველგვარ წინააღმდეგობას დაძლევთ. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა. ფინანსურად ძლიერდებით და ყველაფერი იოლად გამოგდით. **ქალწული** – სხვების გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. საკუთარ პრინციპებს პატივი ეცით. მიხედეთ პირად ცხოვრებას. **სასწორი** – მძიმე დღეა, განსაკუთრებით მატერიალური კუთხით. ბედი გამოცდას გიწყობთ. ნებისყოფა მოიკრიბეთ. **ღრიანკალი** – ნებისმიერი კომერციული ოპერაცია სასიკეთოდ დასრულდება. გელით მატერიალური კეთილდღეობა. **მშვილდოსანი** – მოსალოდნელია კარიერული წინსვლა. საქმე მხოლოდ საკუთარი კომპეტენციის გათვალისწინებით აკეთეთ. **თხის რქა** – სისულელეებზე არ იფიქროთ და, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, სწორი დასკვნები გააკეთეთ. **მერწყული** – სამომავლო გეგმებში კორექტივები შეგაქვთ. შესაძლოა, ახალი, საინტერესო სამსახურიც იშოვოთ. **თევზები** – კრიტიკული დღეა. სიფრთხილე გამოიჩინეთ პარტნიორთან ურთიერთობისას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 2. რაიმეს მწვავე ნაკლებობა; 3. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 4. ნაქსოვი ფეხსამოსი; 5. შავკანიანთა რასის წარმომადგენელი; 8. პოლონელი კომპოზიტორი, ეროვნული საოპერო სკოლის ფუძემდებელი; 12. ძვირფასმერქნიანი ფოთლოვანი ხე; 13. ებრაული სამლოცველო; 14. აეროპორტი ვარშავაში; 16. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 18. ილეთი ჭიდაობაში; 20. ტოკიოს ძველი სახელწოდება.

**თარაზულად**: 6. პირველი ქართველი ალპინისტი ქალი; 7. ქალაქი მესხეთში; 8. ნახატი ზღვის ხედით; 9. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 10. ავადმყოფობის დადგენა გამოკვლევის შედეგად; 11. ნაყინის ერთ-ერთი სახეობა; 15. ფერწერული ტილოების საცავი მუზეუმში; 17. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 19. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 21. ლომის, ვეფხვის ნაშიერი; 22. ძველებური ინდური მაგიდის სათამაშო; 23. ქართული ხალხური შრომის სიმღერა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფეიხოა; 2. ღვინიო; 3. ჰამფლეტი; 4. გინესი; 6. პაპარაცი; 8. გრანდი; 11. სინაგოგა; 12. ვაკუუმი; 16. ფანზა; 17. ჰიჯრა; 18. ბრიჯი.

**თარაზულად:** 1. ფარღული; 5. ტემპი; 7. ფაჩულია; 9. ხილნარი; 10. ტემპერა; 13. დენტინი; 14. კიბუცი; 15. დალი; 19. გულიაში; 20. „რისლინგი“; 21. დელტაპლანი; 22. ნადური.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ხოსტერა; 2. კომუნიკე; 3. პიექსი; 4. რანდი; 5. ცინიკოსი; 8. ბაზილიკა; 12. აკრი; 13. სათაფლია; 14. პიროგა; 16. კარიესი; 18. ატოლი; 20. მოკო.

**თარაზულად:** 6. სომბრერო; 7. ერისთავი; 8. ბუზუკი; 9. „ლეგია“; 10. დინამიკა; 11. კლიასერი; 15. ტაქიკარდია; 17. „მინდია“; 19. გრამაფონი; 21. „პლეიბოი“; 22. ბატალიორი; 23. კონსული.

# აჩიკო ნიჟარაძე: „ჩემი მხარდაჭერა მსახიობებსა და კულტურაში მოღვაწე ყველა ღირსეულ ადამიანს“

მომღერალი აჩიკო ნიჟარაძე მსახიობებს და კულტურაში მოღვაწე ყველა ღირსეულ ადამიანს მხარდაჭერას უცხადებს:

– ჩემი მხარდაჭერა მსახიობებს და კულტურაში მოღვაწე ყველა ღირსეულ ადამიანს.

მინდა შევეხო ამ თემას ჩემი კუთხით და ორიოდე სიტყვა დავწერო ქართულ კონცერტებზე, სიმღერასა და პროექტებზე, რომლებიც, როგორც ვხედავთ, არ ხორციელდება. ქართული სიმღერის შემსრულებელთა რაოდენობა ყოველდღიურად იკლებს, არასწორად, უგემოვნოდ დაგეგმილი და განხორციელებული პროექტების გამო.

ის პროექტები, რომლებიც ასე ძალიან მოგვწონს, მათ შორის მეც მომწონს უცხოელი შემსრულებლების შესრულებით, მათთან მუშაობს პროფესიონალთა უდიდესი გუნდი. მაპატიეთ ამას რომ ვწერ, მაგრამ ამ პროფესიონალთა გუნდის გარეშე და დაფინანსების გარეშე შესაძლებელია უცხოელი ვარსკვლავიც მოგეჩვენოთ ძალიან ცუდად.

იმისათვის, რომ ნათელი მოვფინო ჩემს პოსტს, პატარა მაგალითს მოვიყვან.

კონცერტის გასამართად საჭირო პუნქტები:

1. საკონცერტო დარბაზი – ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის ან ნებისმიერი დარბაზის არენა.

2. სცენის დეკორაცია, ან ეკრანები, რომლის მეშვეობით სცენაზე იქმნება სხვადასხვა ეფექტი, რომელიც ძალიან ძვირი ჯდება, ქართველი შემსრულებლებისთვის ძვირი ფუფუნებაა.

3. ორკესტრი – რომელიც ძალიან ალამაზებს და უხდება ქართულ სიმღერას, ასევე ძვირი ფუფუნებაა.

4. გახმოვანებისა და განათების კარგი აპარატურა, ასევე კარგი სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია ამ აპარატურის მართვა.

5. რეჟისორი.

6. მუსიკალური ხელმძღვანელი.

7. პროდიუსერი.

ეს ყველაფერი სავარაუდოდ 60.000-დან – 120.000 ლარის ფარგლებში დაუჯდება მომღერალ-შემსრულებელს. ეს ფასიც, სავარაუდოდ, უფრო მეტი იქნება, თუ უნდა შემსრულებელს ხარისხიანი კონცერტი ჩაატაროს. ამ თანხების მოძიების მერე, რა თქმა უნდა, იმისათვის, რომ კონცერტმა ჩაიაროს ანშლაგით, საჭიროა რეკლამა, ანუ ტელევიზიის მხარდაჭერა. აქ უკვე ვხვდებით ურთულეს სიტუაციაში, ყველაზე ძვირი არის სატელევიზიო რეკლამა, ზოგიერთებისთვის ეს უფასოა. დამოკიდებულია ტელევიზიაზე, თუ როგორი ურთიერთობა აქვთ კონკრეტულ შემსრულებელთან. შესაძლებელია ისიც, რომ საერთოდ არ დაუჭირონ მხარი კონკრეტულ შემსრულებელს, ფულიც რომ გადაიხადოს მაშინაც კი. 5-6-თვიანი ორკესტრთან, რეჟისორთან და მუსიკალურ ხელმძღვანელთან მუშაობის შედეგად, შესაძლებელია საბოლოოდ დაიდოს ისეთი პროგრამა, რომ რაღაც ღირებული შეიქმნას მსმენელისათვის. ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების გარეშე კონცერტი იქნება უხარისხო.

ზემოთ აღნიშნული ხარჯებიდან გამომდინარე, ბილეთის ფასი ფილარ-



მონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, სადაც 2500 ადამიანი ეტევა, მინიმუმ 50 ლარს უნდა შეადგენდეს, რომ მინიმუმ 0-ზე გავიდეს პროექტი მოგების გარეშე.

50 ლარი საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის ძვირია და ხშირ შემთხვევაში ვერ იხდიან.

როგორც მსმენელმა რომ ვილაპარაკო, სასწორზე რომ დაიდება ყველანაირად გამართული მსოფლიო ვარსკვლავის კონცერტი, რომელშიც ბილეთის ფასი 50-60-70 ლარი უნდა გადავიხადო და მეორე მხარეს ქართველი შემსრულებლის კონცერტი, სადაც ზემოთ ნახსენები არც ერთი პუნქტი არ იქნება და 50-60-70 ლარი უნდა გადავიხადო, რა თქმა უნდა, წავალ უცხოელი შემსრულებლის კონცერტზე, რომელსაც სავარაუდოდ 2.000.000 დოლარს გადაუხდიან და სახლში წავა უბედნიერესი.

რა თქმა უნდა, მივესალმები უცხოელი ვარსკვლავების ჩამოყვანას, ეს კონცერტები ჩემთვის, როგორც ხელოვანისთვის, უბრალო კონცერტები არ არის, მასტერკლასია – უამრავ რამეს ვსწავლობ. უბრალოდ, დაახლოებით 32.000.000 დახარჯული ლარიდან შესაძლებელი იყო, რომ ნახევარი მაინც დახარჯულიყო ქართველი ხელოვანი ადამიანების განვითარებაში, ქართულ პროექტებში.

სწორედ გამიგეთ, არ ვადარებ თავს არავის, ყველას თავისი შესაძლებლობებით უდიდეს პატივს ვცემ, უბრალოდ ერთი კითხვა მაქვს კულტურის სამინისტროსთან – ხელოვან ადამიანებს, რომლებსაც უდიდესი სურვილი გვაქვს გავაკეთოთ კარგი ჩვენი ხალხისთვის, ღირებული ჩვენი მომავალი თაობისთვის, როგორ მოვახერხოთ, იქნებ აგვიხსნათ. ყველას არ ჰყავს მდიდარი მშობლები, საყვარლები და ქმრები და გვინდა, რომ ჩვენით მივაღწიოთ, რაც ჩაფიქრებული გვაქვს. კულტურის სამინისტრო გვჭირდება იმისათვის, რომ გვერდში დაგვიდგეს, პასუხად სამინისტრო საერთოდ აღარ აფინანსებს საესტრადო პროექტებს.

ერთიანობაა საჭირო და გონივრულად სჭირდება ყველაფერს დაგეგმვა, იმისათვის რომ შედეგი მივიღოთ, ერთად უნდა ვიმუშაოთ სიყვარულით და არა ბოღმით, შურით და ღვარძლით ერთმანეთის მიმართ.

## გივი ბერიკაშვილი ამაღლების ეკლესიის ეზოში დაკრძალეს

მსახიობი გივი ბერიკაშვილი საბურთალოზე, ამაღლების ეკლესიის ეზოში დაკრძალეს. 83 წლის ხელოვანი ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა. მისი სამოქალაქო პანაშვიდი მარჯანიშვილის თეატრში გაიმართა, სადაც ცნობილ ადამიანებთან ერთად მისთვის უკანასკნელი პატივის მისაგებად რიგითი მაყურებლებიც მივიდნენ.

მსახიობი სცენაზე დაასვენეს, მონიტორზე გივი ბერიკაშვილის მიერ შესრულებული როლების ამსახველი კადრები უჩვენეს, თეატრის ფოიეში მსახიობის ფოტოები გამოიფინა, გივი ბერიკაშვილის საგრიმიორო კი მთლიანად ყვავილებით მოირთო.

სამოქალაქო პანაშვიდზე მსახიობს მეგობრები, კოლეგები და ახლობლები გამოემშვიდობნენ. გამოსამშვიდობებელი სიტყვა წარმოთქვა გივი ბერიკაშვილის განუყრელმა პარტნიორმა და მეგობარმა კახი კავსაძემ:

– გივი ჩემი ძმა იყო, ძალიან მიჭირს. გივი იყო მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი, სამაგალითო ადამიანი, დიდი კაცი წავიდა ამ ქვეყნიდან. დადიოდა და სიკეთეს აფრქვევდა. ყველა ტირის, გულახდილად ტირის. ბერიკამ ხალხი აატირა და ჩვენც აგვატირა. ჩემთვის ძალიან დიდი დანაკლისია. ძმები ვიყავით. ადგა და წავიდა. დატოვა დიდი სიყვარული, ვიდრე ვიქნები ქვეყანაზე, გივი ჩემს გულში იქნება.

გივი ბერიკაშვილი მშობლიური თეატრიდან ტაშით გამოასვენეს. იგი ბოლო გზაზე მაყურებელმა აპლოდისმენტებით გააცილა.

## ნელი სალამაძე გარდაიცვალა

ხელოვნების ქურუმი და ცხინვალის თეატრის სცენის წამყვანი ოსტატი ნელი სალამაძე გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია ცხინვალის თეატრმა გაავრცელა:

– არ გვინდა დაჯერება, რომ ეს მოხდა... რომ ჩვენს თეატრალურ ოჯახს გამოაკლდა ღვაწლმოსილი მსახიობი, სცენის წამყვანი ოსტატი, ხელოვნების ქურუმი ნელი სალამაძე... უბრალოდ კი ყველასთვის საყვარელი ნელიკო...

ნახევარ საუკუნეზე მეტი ემსახურა ქალბატონი ნელი ცხინვალის თეატრს უამრავი დასამახსოვრებელი როლით, უანგაროდ გაცემული სითბოთი და სიყვარულით... ყოველთვის მოწესრიგებული, სამაგალითო მსახიობი... საიმედო მეგობარი... ადამიანი, რომელსაც უზომოდ უყვარდა სიცოცხლე, ტკბებოდა მისით, ცდილობდა, ბოლომდე შეეგრძნო ცხოვრების ყველა სიკეთე და ამით სტიმული მიეცა სხვებისთვისაც...

ქალი, რომელიც არასოდეს ივიწყებდა, რომ იყო ქალი... ბოლომდე დარჩა ახალგაზრდა, ამიტომაც ეგონა ყველა თაობას მისი ტოლი, ყველას სიყვარულით ემეგობრებოდა... სიმბოლურია მისი უკანასკნელი როლი „მაკმარე ანგელოზი“ დიდი, თეთრი ფრთებით... მსუბუ-



ქად, უხმაუროდ რომ დაფარფატებდა სცენაზე. ასე უხმაუროდ, უეცრად გაგვიფრინდა ჩვენი ნელიკო...

ცხინვალის თეატრის წევრმა რუსკა გელაძემ კი ნელა სალამაძისა და გივი ბერიკაშვილის ერთობლივი ფოტო გაავრცელა:

– ქალბატონი ნელი სალამაძე და ბატონი გივი ბერიკაშვილი სპექტაკლიდან „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“. რა სიმბოლურია, ალბათ, იმქვეყნადაც ასე ხელი-ხელჩაკიდებულები მიდიან. ჩვენთვის უძვირფასეს ამ ორ ადამიანს ერთად ვაცილებთ უკანასკნელ გზაზე... უფალმა სასუფეველი დაგიმკვიდროთ... ძალიან მოგვენატრებით და დაგვაკლდებით.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ანრი ჯოხაძემ გივი ბერიკაშვილს კლიპი მიუძღვნა

მომღერალმა ანრი ჯოხაძემ მსახიობ გივი ბერიკაშვილს კლიპი მიუძღვნა. ანრიმ ახლებურად ჩაწერა გოგი ცაბაძის სიმღერა „ვინა სთქვა, რომ ეს ცხოვრება დიდია“ სპექტაკლიდან „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“. კლიპში კი გამოიყენა ვერიკო ტურაშვილის ვიდეორგოლზე მუშაობის კადრები, სადაც გივი ბერიკაშვილის მომენტებია დაფიქსირებული.

ვიდეორგოლის სატელევიზიო პრემიერა უკვე გაიმართა და მან მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

## „გიორგიმ ან ზურამ რატომ ჩაიგდეს თავი ასეთ უხერხულ მდგომარეობაში?!“

ამ კითხვას კულტურის მინისტრი მიხეილ გიორგაძე სვამს და საჯაროდ საუბრობს ზურა ყიფშიძის ყოველთვიურ შემოსავალზე, რომელიც, მინისტრის მტკიცებით, რამდენიმე ათას ლარს შეადგენს.

მიხეილ გიორგაძე:

– გავრცელებული ინფორმაცია, რომ სამინისტრო თეატრებს შესაბამის ყურადღებას არ აქცევს, გაუგებარია. თეატრების მიმართულებით საერთო ბიუჯეტის 33% ხარჯვას, რაც ჯამში 33 მილიონი ლარია.

ეს არის სპეკულაცია, ვინაიდან კონკრეტულად ზურაბ ყიფშიძე საბიუჯეტო დაფინანსების თუმანიშვილისა და მარჯანიშვილის თეატრებიდან იღებს, ასევე მას შემოსავალი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხიდანაც აქვს, სადაც ერთ-ერთი გადაცემის წამყვანია. გარდა საბიუჯეტო დაფინანსებისა, ის ასევე „ქართუ ფონდის“ გრანტითაც ფინანსდება.

ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთი მღელვარებაა სოციალურ ქსელებში და მთელი ეს თემა აწყობილი იყო ერთი კონკრეტული ადამიანის, ბატონი ზურაბ ყიფშიძის გაუსაძლისი



მდგომარეობის გარშემო. ეთერში ისიც ითქვა, რომ პრაქტიკულად 400- ლარიანი ხელფასის გამო შიმშილობს. ვწუხვარ, რომ კონკრეტულ ადამიანზე მიწევს საუბარი და არა ზოგადად სისტემურ საკითხზე, მაგრამ ყველანაირ ზღვარს გასცდა ამბავი, როდესაც საზოგადოება პირდაპირ შეცდომაში შეჰყავთ. არავითარ 400-ლარიან ხელფასზე და მით უმეტეს ყოველთვიურ შემოსავალზე საუბარი არ არის. ბატონი ზურაბი ბევრად მეტს, კონკრეტულ ხელფასს იღებს როგორც მარჯანიშვილის, ისე თუმანიშვილის თეატრებში. ის ასევე არის გადაცემის წამყვანი „პირველ არხზე“ და კიდევ უფრო მეტი ანაზღაურება აქვს ყოველთვიური. აღარაფერს ვამბობ ფონდი „ქართუს“ გრანტის მეშვეობით მიღებულ დახმარებაზე. შეიძლება, ვინმემ თქვას, რომ ეს კერძო თანხაა და რატომ ითვლის სამინისტრო ამ თანხას. რა თქმა უნდა, ამას არ ვითვლი, უბრალოდ, მინდა, რომ საზოგადოებას ჰქონდეს ეს ინფორმაცია.

ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, გიორგიმ ან ზურამ რატომ ჩაიგდეს თავი ასეთ უხერხულ მდგომარეობაში, როდესაც ამდენად გულისამაჩუყებელი ისტორია მოყვა პირდაპირ ეთერში გიორგი ყიფშიძემ, სადაც 400 ლარზე იყო საუბარი. დაახლოებით ხუთჯერ მეტი თანხა გამოდის ჯამურად თვეში შემოსავალი. ყველანაირ პოლიტკორექტულობას საზღვარი აქვს ჩემი მხრიდან. მე იძულებული ვარ, ამაზე ვისაუბრო, იმიტომ, რომ მართლაც ძალიან დიდი ამბავი ატყდა, ძალიან ბევრი პრეტენზია გამოითქვა ეთერში, პირად საუბრებში, სოციალურ ქსელზე აღარაფერს ვამბობ. მთელი საზოგადოება შეწუხებულია და ამიტომ მე მიწევს ასეთი განმარტებების გაკეთება. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ბატონი ზურაბი დაადასტურებს იმას, რაზეც მე ვსაუბრობ.

## მაია დარსმელიძე: „ამ დროს რა გინდა, რომ ქნა?“

მომღერალი მაია დარსმელიძე ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას აპროტესტებს. მისი განცხადებით, რთული მდგომარეობა მარტო მსახიობებში კი არ არის, ყველა სფეროში იგივე ხდება.

**მაია დარსმელიძე:**

– წავიკითხე გიორგი ყიფშიძის ინტერვიუ და ცოფებს ვყრი.

და ეს ყველაფერი არა მარტო მსახიობებში, არამედ ყველგან, ყველა სფეროში ხდება.. მეც მწერენ და ფულს მთხოვენ.

ერთმა დამირეკა და 1.000 დოლარი მასესხე კი არა, პირდაპირ მომეციო, მუსიკოსი ხარ და არ გაგიჭირდებაო. ხან რას მთხოვენ და ხან – რას.

როდესაც ზუსტად იცი, რომ შენს სფეროში ძალიან ბევრი სასიკეთო ცვლილების შეტანა შეგიძლია, როდესაც იცი, რომ გჩქმალავენ, გმალავენ, გტეხავენ და მსმენელს, მაყურებელს პლასტმასის ძუძუებივით ყალბ



პროდუქტს ატენიან მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა ის ვიღაცა ვიღაცის ვიღაცაა და შენ არავისი არავინ.

## პროგრამა

პარასკევი
14 აპრილი

07.00 დოკ/ფ "ჯეიმი ოლივერის საზაფხულო კერძები" 08.00 კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 09.00 "მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 10.10, 04.00 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" 12.30 "სპორტის დაფა" 12.45 "კაცების დრო" 13.45 "ტელემანი" 14.00 "ხანმოკლე XX საუკუნე" 14.30 "ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ" 15.00, 03.00 "C სტუდია" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 დოკ/ფ "ცნობისმოყვარეობა. სტოუნჰენჯი" 21.00 ტ/სერ. "**ველვეტი**" 22.00 ქართ. მხ/ფ "**მონანიება**" 00.30 მხ/ფ "**საბრალონი**"

08.00 დ/ფ "სუფრაჟისტები" 09.00 დ/ფ "შტაინერების ოჯახი" 10.00 "გეოფაქტორი" 10.20 დ/ფ "ჩერჩილის გამოწვევა" 12.00 ტ/სერ. "**დომბე და ვაჟი**" 14.00 დ/ფ "ნამდვილი პანამა" 15.00, 18.00 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "კოდის კონცხი" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" 21.00 "ეპიცენტრი" 22.00 ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია** " 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო" 01.00 მხ/ფ "**ქრისთი" დაბრუნება ქათერ გეფში**"

05.50, 14.40 სერ. "**ელიფი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 ს დილა 10.05 სერ. "**პატარძალი**" 11.20 სერ. "**ფიცი**" 12.30 დღის შოუ 17.35 სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" 18.45, 19.03 სერ. "**მოპარული ცხოვრება**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 მხ/ფ "**ძე ღვთისა**" 00.00 მხ/ფ "**ჭექა-ქუხილის დღეები**" 02.00 მხ/ფ "**შიდა გამოძიება**" 03.50 მხ/ფ "**ელიზა გრეივსი: დაწყევლილი სავანე**"

06.00, 19.00, 20.03 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" 06.45 სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**ყველაზე ლამაზი**" 15.55 სერ. "**ინდური საგა**" 16.55 სერ. "**დაკარგული წლები**" 20.10 სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" 20.50 ლოტო 22.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 16 23.00 მხ/ფ

08.00 ან/სერ. "პუკა" 08.30 ან/სერ. "ფანბოი და ჩამ-ჩამი" 09.00, 19.00 სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" 11.00, 17.00 სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" 13.00 სერ. "**აღქმა**" 15.00 სერ. "**სასტუმრო**" 21.00 სერ. "**გომორა**" 22.30 მხ/ფ "**თომას ქრაუნის აფერა**" 00.45 მხ/ფ "**ძალადობის ისტორია**" 02.35 მხ/ფ "**ფარული აგენტი**"

06.10 კვირიაკე 07.50 სათავეებთან "იაკობ გოგებაშვილი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 დ/ფ "ულმერთოთა ღამე" 10.10 მხ/ფ "**ნაზარის უკანასკნელი ლოცვა**" 12.10 ვნების კვირა წმინდა მიწაზე 5 ნაწ. 13.05 აქტუალური თემა-პატრიოტიზმი 13.30 დ/ფ "თუ დაგივიწყო, იერუშალაიმ..." 14.30 დეკორატიული ფლორა "ჰელიკონია-სტრიქტა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართული ან/ფ 15.30 წმინდა ვნებანი უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი-დიდი პარასკევი 15.50 სამყაროს შექმნა 16.10 დ/ფ "ქართული წიგნი" 16.20 ერთი წვეთი 16.30 დიდი პარასკევი-მამა მაქსიმე 17.05 ჩვენი საგანძური 17.30 კვირიაკის სიუჟეტი-წმინდა მიწაზე 5 ნაწ. 18.10 დ/ფ 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**ლუკას სახარება**" 20.30 საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება ვნების შვიდეული-პარასკევი 20.40 ძილი ნებისა "მარიამ მაგდალინელი ყველას ამცნობს იესოს აღდგომას" 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 შაბათი-გარდამოხსნალიტანიობა 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში "ღრუბლებს ზევით, წარსულში..." 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "გარდამოხსნა" 00.35 მგზავრები წუთისოფლისა 01.00 დ/ფ "იერუსალიმის ჯვრის მონასტერი"

მაესტრო 7.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (სურდო გახმოვანებით) 8.00, 13.30, 15.30 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 15.00 "კონტაქტი სამზე" 16.00, 18.50, 20.55 სერ. "**მარისა**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.50 "დამზადებულია საქართველოში" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 21.50 სერ. "**გემი**" 23.10 სერ. "**ესკობარი**" 1.00 "კონტაქტი" 1.30 მხ/ფ "**უბრალო ჭეშმარიტება**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


14 აპრილისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3915

ევრო — 2.5357

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.9872

100 რუსული რუბლი — 4.2011

## ამინდის პროგნოზი 14 აპრილისთვის





## 11 აპრილიდან

# ბერძნული მითები




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

## 12 აპრილიდან




ლიონ ფოიხტვანგერი

# გოია

ოქროს ბიბლიოთეკა

ტომი 24–ე

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## მანგოს ორი ნაყოფი 3,7 ათას დოლარად გაიყიდა

იაპონიაში მანგოს ორი ნაყოფი აუქციონზე რეკორდულად მაღალ ფასად, 400 ათას იენად (თითქმის 3,7 ათასი დოლარი) გაიყიდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვაჭრობა ქალაქ მიაძაკიში გაიმართა. ლოტი წარმოადგენდა უნიკალური ადგილობრივი მზიური ხარისხის კაშკაშა ალისფერ ნაყოფს, შაქრის მაღალი შემცველობით – 15 პროცენტზე მეტი და მინიმუმ 350 გრამი.

მანგოს ნაყოფი იაპონიის ქალაქ ფუკუოკას ერთ-ერთი უნივერმაღის პატრონმა იყიდა. ლოტის საერთო მასა კილოგრამს აღემატება. მისი თქმით, ის შენაძენის მაღაზიის ვიტრინაში განთავსებას აპირებს, რაც მისი სავაჭრო დაწესებულების შესანიშნავი რეკლამა იქნება.



## ჩინეთში ქურდმა შეცდომით ნაქურდალით პოლიციის გაყოფილებაში ცადა დამალვა



ჩინეთის ქალაქ შენჩჟენში მამაკაცმა, რომელმაც მობილური ტელეფონი მოიპარა, შეცდომით მდევრისგან თავის დასაღწევად პოლიციის განყოფილების ტერიტორიაზე ცადა დამალვა.

სათვალთვალო კამერებმა დანაშაული ჩადენის მომენტი გადაიღეს. ჩანაწერში ჩანს, რომ ქურდმა ქუჩაში მიმავალ გოგონას ტელეფონი გამოსტაცა და გაიქცა. გოგონა გაეკიდა, მაგრამ წაბორძიკდა და წაიქცა, ქურდმა კი ისე, რომ სირბილის სიჩქარისთვის არ დაუკლია, პოლიციის ავტოსადგომზე შეირბინა. ამ დროს ის თავის შეცდომას მიხვდა და გაოგნებული ათვალიერებდა იქაურობას. ამასობაში მას დაზარალებული და შემთხვევის თვითმხილველები დაეწივნენ.

ქურდობაში ეჭვმიტანილი სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელს ჩაჰბარდა და ტელეფონი დააბრუნა. პოლიციის ცნობით, მამაკაცმა ჩადენილი დანაშაული აღიარა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



ექიმმა მამაკაცს გულზე პრობლემების გამო მეუღლესთან სქესობრივი ცხოვრება აუკრძალა. ცოლ-ქმარი იძულებული გახდნენ სხვადასხვა ოთახში დაეძინათ. ერთი კვირის შემდეგ დალონებულმა მამაკაცმა გაიფიქრა: „რაც იქნება იქნება!“ ღამით ადგა, თავისი ოთახიდან გამოვიდა, მეუღლის ოთახისკენ გაემართა და უცბად ცოლს შეეჯახა. ქმარი ეუბნება:

– იცი, ძვირფასო, ახლა თავის მოსაკლავად მოვდიოდი.

– მე კი, მოსაკლავად...

●●●

სომხეთის რადიოს ეკითხებიან:

– რა აქვთ ქალებს თვეში ერთხელ და რომელიც 4-5 დღეში უმთავრდებათ?

– მეუღლის ხელფასი.

●●●

დილით მეეზოვე ქუჩას გვის. ამ დროს სადარბაზოდან ბიჭები გამოდიან და ეკითხებიან:

– ქალი გინდა?

– მინდა.

– პირველ სადარბაზოში, მეორე სართულზე კარი მარცხნივ, შეხვალ და ყველაფერი გამზადებულია.

მეეზოვემ დააგდო ცოცხი, მივიდა მითითებულ კართან და შევიდა ბინაში. ხედავს, საწოლში ქალი წევს. ბევრი არ უფიქრია, გაიხადა, ქალს მიუწვა, თავისი საქმე გააკეთა, ჩაიცვა და წამოსვლა დააპირა, რომ ქალი ეკითხება:

– და ფული?

– რა ფული, ბიჭებმა დამპატიჟეს.

●●●

კაცმა ბარში ქალი გაიცნო, თავისთან სახლში დაპატიჟა, დალიეს და შემდეგ კაცი ქალს ეუბნება:

– წინააღმდეგი ხომ არ იქნები, ერთად რომ დავწვეთ?

– ასეთი რამ ჩემ ცხოვრებაში არასოდეს მომხდარა.

– რა, მამაკაცთან არასოდეს წოლილხარ?

– არა, უარი არასოდეს მითქვამს.

●●●

თბომავალმა ოკეანის პატარა კუნძულს ჩაუარა, რომლის ნაპირზეც წვერმოშვებული მამაკაცი ხელებს იქნევდა და რაღაცას ყვიროდა.

ერთ-ერთი მგზავრი გემის კაპიტანს ეკითხება:

– ვინ არის ის კაცი?

– არ ვიცი. ყოველ წელს, როგორც კი კუნძულს ჩავუვლით, აი, ასე დგას და ხელებს გიჟივით იქნევს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




## ბრედ პიტი სიენა მილერთან ერთად შენიშნეს



ჰოლივუდის მსახიობი ბრედ პიტი ბრიტანელ-ამერიკელ მსახიობ სიენა მილერთან ერთად შენიშნეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი გამოცემა საკუთარ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს.

გამოცემის ინფორმაციით, 53 წლის პიტი „თავგამოდებით ეფლირტავებოდა“ 35 წლის მილერს ერთობლივი სადილის დროს. თვითმხილველთა თქმით, მსახიობები ერთად ყოფნით სიამოვნებას იღებდნენ და მთელი საღამო საუბრობდნენ.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სიენამ ერთ-ერთი როლი შეასრულა ფილმში, რომელიც ბრედ პიტის კუთვნილმა კინოკომპანიამ გადაიღო. სურათ „დაკარგული ქალაქი 2-ის“ ამერიკული პრემიერა აპრილის დასაწყისში შედგა.

შეგახსენებთ, რომ ბრედ პიტი თავის მეუღლეს ანჯელინა ჯოლის დაშორდა. რაც შეეხება სიენა მილერს, ადრე ის ხვდებოდა ბრიტანელ მსახიობ ჯუდ ლოუს, ასევე გათხოვილი იყო მსახიობ ტომ სტარიჯზე. მათ ერთი შვილი, გოგონა ჰყავთ.

## ოჰაიოელმა გოგონამ ტაქსის მძღოლი გააუპატიურა და 32 დოლარი მოჰპარა



ამერიკის ოჰაიოს შტატის პოლიციამ გოგონა ტაქსის მძღოლის გაუპატიურებისა და გაძარცვისთვის დააპატიმრა.

ინციდენტი ჯერ კიდევ 28 იანვარს მოხდა, მაგრამ მედიისთვის ეს მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი. ქალაქ ფრიმონტის 23 წლის მცხოვრებმა ბრიტანი კარტერმა თავის ორ „თანამზრახველ ფერადკანიანთან“ ერთად ტაქსი გამოიძახა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მგზავრობის დროს ერთ-ერთმა, 20 წლის კორი ჯექსონმა, 29 წლის მძღოლს დანა ყელზე მიაბჯინა, ხოლო გოგონამ მასთან მიმართებით სექსუალური ხასიათის ქმედება განახორციელა. ამის შემდეგ მათ მძღოლს ჯიბიდან 32 დოლარი ამოაცალეს და სამივე შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაზარალებულმა მძღოლმა მომხდარის თაობაზე პოლიციას შეატყობინა. საბრალდებო დასკვნის თანახმად, კარტერი „მიზანმიმართულად, ძალის მუქარით აიძულებდა მძღოლს სქესობრივი აქტის განხორციელებას“.

პოლიციის წარმომადგენელთა განცხადებით, მესამე დამნაშავის ამოცნობა ვერ მოხერხდა.

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების ინფორმაციით, გოგონა ადრე პასუხისგებაში იყო მიცემული ჰეროინის უკანონოდ შენახვისა და ავტომობილის გასაყიდად გამოყენებისთვის. ამჟამად ბრიტანი კარტერი ჰენკოკის საოლქო საპატიმროში იმყოფება და მისი გირაოთი გათავისუფლებისთვის 60 ათასი დოლარია დაწესებული.

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 2. ტკბილი კარტოფილი; 3. პლანეტის თანამგზავრი; 4. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 6. ტყავის დამამზადებელი საამქრო ძველად საქართველოში; 8. თურქეთსა და საბერძნეთს შორის მდებარე ზღვა; 11. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 12. შვედეთის, დანიის, ნორვეგიის მეფეთა ტიტული; 16. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 17. ავსტრალიური ველური ძაღლი; 18. სურნელოვანი პარფიუმერიული ფხვნილი.

**თარაზულად**: 1. ქართველი მწერალი; 5. ყველაზე დიდი ტბა იტალიაში; 7. ქალთა ჯგუფური ცეკვა, რომელიც კაბარეში სრულდება; 9. აკრძალვა პროდუქციის შემოტანაზე სახელმწიფოში; 10. ბედიღბლიანობის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 13. წრის ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია რკალითა და ორი რადიუსით; 14. საფრანგეთის სამეფო ტახტის მემკვიდრის ტიტული; 15. ესპანეთის კინოაკადემიის პრიზი; 19. წელის ტკივილი; 20. ფუტკრის სკის შავი ცვილი; 21. საფოსტო გზავნილი; 22. ბგერის ნახევარტონით დადაბლების ნიშანი მუსიკაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




ლურჯი წითელი ყვითელი შავი